

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების
ინსტიტუტი

59-ე
სამეცნიერო სესიის
მასალები

2000 წლის 12-15 დეკემბერი

სესია ეძღვნება
აკად. ს ი მ ო ნ ჯ ა ნ ა შ ი ა ს
დაბადების 100 წლისთავს

„ქართული ენა“
თბილისი
2000

სხდომები გაიმართება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის
არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის
სხდომათა დარბაზში (პ.ინგოროყვას ქ. № 8, პირველი სართული)

რ ე გ ლ ა მ ე ნ ტ ი

მომხსენებელს — 15 წუთი

მსჯელობაში მონაწილეს — 5 წუთი

რედაქტორი — პროფ. გ . კ ვ ა რ ა ც ხ ე ლ ი ა

©არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

ISBN 99928-825-3-0

მ უ შ ა ო ბ ი ს გ ე გ მ ა

12 დეკემბერი, 11 საათი

გ . კ ვ ა რ ა ც ხ ე ლ ი ა — შესავალი სიტყვა

1. ა . ა რ ა ბ უ ლ ი , ქართული და ქართველური ენების სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები აკად. ს.ჯანაშიას შრომებში
2. შ . ა ფ რ ი დ ო ნ ი ძ ე , ქართული სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის საკითხები აკად. სიმონ ჯანაშიას შრომებში: პრინციპები და პროექტები
3. თ . გ ვ ა ნ ც ე ლ ა ძ ე , ვ . შ ე ნ გ ე ლ ი ა , აკადემიკოსი სიმონ ჯანაშია და აფხაზურ-ადიღური ენათმეცნიერება
4. გ . ბ უ რ ქ ე ლ ა ძ ე , გ . თ ო ფ უ რ ი ა , ს.ჯანაშია და და-ლესტნური ენები
5. მ . ქ უ რ დ ი ა ნ ი , სიმონ ჯანაშია ქართველთა პირველ-საცხოვრისის შესახებ და საკითხის შესწავლის თანამედროვე მდგომარეობა
6. ქ . ლ ო მ თ ა თ ი ძ ე , აფხ. აყ^არდ^ა („საჯდომი ჭორკო“) სიტყვის წარმომავლობა (ლაბიალიზებული დ^ა ფონემის აფხაზურ-აბაზურ ენებში ოდენ ნასესხებ ძირეულ ფუძეებში არსებობასთან დაკავშირებით)
7. ა ლ . მ ა ჰ ო მ ე ტ ო ვ ი , ბრუნების არატრადიციული ტიპი დარგუული ენის დიალექტებში
8. ნ . მ ა მ ი ს ე ი შ ვ ი ლ ი , „ციცინათელა“-სა და „პაპანაქება“-ს ეტიმოლოგიისათვის

1. ი . ქ ო ბ ა ლ ა ვ ა , ფრანგული დეკონსტრუქტივიზმი და ანბანური წერის საკითხები
2. ლ . ნ ო ზ ა ძ ე , ისევ მედიაოპტიური ზმნების შესახებ ქართულში
3. თ . უ თ უ რ გ ა ი ძ ე , ხშულობისა და ნაპრალოვნობის მიხედვით შერეული რაგვარობის თანხმოვანთა ფონოლოგიური ინტერპრეტაციისათვის ქართულში
4. ვ . შ ე ნ გ ე ლ ი ა , სინონიმური წყვილების ერთი ტიპი მეგრულში
5. ლ . ა ბ უ ლ ა ძ ე , ტერმინ „ველის“ შესახებ
6. რ . ა ბ ა შ ი ა , საერთო-ქართველური ლექსიკიდან. XIV
7. მ . ს ა ლ ი ა , თევზსაქერ მოწყობილობათა (ბადეთა) სახელ-წოდებანი მეგრულში
8. კ . ს ა ხ ლ თ ხ უ ც ი შ ვ ი ლ ი , ასპექტურ მნიშვნელობათა (სისრულე, გზისობა) ურთიერთმიმართების საკითხისათვის

14 დეკემბერი, 11 საათი

1. ა . კ ო ბ ა ხ ი ძ ე , ზოგი კომპოზიტის დაწერილობისათვის (ლექსიკონებში სოკოს აღმნიშვნელი სახელების მართლწერასთან დაკავშირებით)
2. მ . მ ა ქ ა ვ ა რ ი ა ნ ი , ბ . შ ა ვ ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი , აუსლაუტისათვის წოვა-თუშურში (წინასწარი მოხსენება)
3. ი . ქ ე რ ქ ა ძ ე , მანკ- და აცრა ფუძეთა შესახებ ქართულში
4. ნ . ქ ო ხ ო ნ ე ლ ი ძ ე , მანძილ- („ხორცი“) ფუძის შესატყვისობისათვის ქართულსა და სვანურში
5. მ . ბ უ კ ი ა , მეგრულის მესაქონლეობის ლექსიკიდან. I. კურკლის აღმნიშვნელი ტერმინები
6. ც . ბ ა რ ა მ ი ძ ე , მცირე სემანტიკური ძიებანი თაბასარანულ ენაში
7. შ . ლ ო მ ა ი ა , ზმნისართული მნიშვნელობის გადმოცემისათვის მეგრულში

1. ო . კ ა ხ ა ძ ე , ლეზგიურ ენათა ძ სხვა მონათესავე და არა-მონათესავე ენათა სათანადო მასალის ფონზე
2. ლ . ს ა ნ ი კ ი ძ ე , -ნიგ, -რიგ, -რიკ სუფიქსთა გენეზისისათვის ნახურ ენებში
3. ლ . ბ ა ბ ლ უ ა ნ ი , რედუქცია სვანური ენის ლენტეხურ დიალექტში
4. ო . მ ი ქ ი ა შ ვ ი ლ ი , რუსულის გავლენით თავჩენილი ერთი მოვლენის შესახებ ქართულში
5. ტ . ფ უ ტ კ ა რ ა ძ ე , ხმოვანთკომპლექსთა შედგენილობისათვის მეგრულსა და ბალსქვემოურში (კომპიუტერულ მონაცემთა წინასწარი ანალიზი)
6. ნ . ა რ დ ო ტ ე ლ 'ი , ლაბიალიზებულ თანხმოვანთა საკითხისათვის ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენებში
7. გ . გ ვ ა ნ ც ე ლ ა ძ ე , ქართულ ნასახელარ ზმნათა ერთი ჯგუფის თავისებურებათა საკითხისათვის

საერთო-ქართველური ლექსიკიდან. XIV

1. ქართ. დი-ა „ბევრი“ (ს.-საბა);
დი-ად (<დიდ-ად) „ფრიად, ძლიერ, ბევრი“
(ილ.აბულაძე);
დი-ად-ი (<დიდ-ად-ი) „ფრიად მრავალი“
(სულხან-საბა).

- ზან. (მეგრ.) დი-ო „ჭერეთ“ (ბ.ჭარაია), "пока, еще, сначала"
(ი.ყიფშიძე);
დი-ოდ-ე, დი-ოდ-ე „ჭერჭერობით“
(ეტიმოლოგიურად: დიდად, დიდადრე, მეტადრე).

დია ლექსება დასტურდება ძველ ქართულ ტექსტებში: „დია ავ-
სა ჟამსა დაშლილობისასა დავწერე“ Q-1062. დია (დი-ა) გამარტივებუ-
ლი ფორმა ჩანს დი-ად (<დიდ-ად) ფუძისა. სათუთა მისი დაკავშირება
დიად, დიახ-თან. სემანტიკური მნიშვნელობაც ამას ცხადყოფს, რასაც
მოწმობს დიალექტური მასალაც: დია- (რაქ.) „ბევრი“; (ფშ.) „ჭეროვ-
ნად, ღირსეულად...“, დია-მც „ბევრიმც“ (რაქ.); შდრ. დიამც „მყოფო-
ბის საცილებელი“ (სულხან-საბა).

ზანურში კანონზომიერი ფონემური ეკვივალენტი გვაქვს, თუმცა
სემანტიკური შესატყვისობა გამჭვირვალე არაა. ეს დაბრკოლება თით-
ქოს ორდო (მეგრ.: „დილა“, კან. „მალე, ჩქარა“; ქართ. შესატყვისი —
ადრ-ე) ან ოდ-ო „სანამ, სანამდე“ (ქართ. ოდ-ენ, სვან. ჟოდ-ე „მზო-
ლოდ“) ფუძეებთან კავშირს გვაგარაუდებინებს, მაგრამ გასარკვევი და-
რჩება დი- (დი-ო) ელემენტის ფუნქცია: მაშინ ის ძირეულად ვერ ჩა-
ითვლება.

2. ქართ. თეთ-რ-ი „სპეტაკი, გინა ვეცხლი“ (ს.-საბა);
 „სპეტაკი“ (ილ.აბულაძე);
 გან-თეთ-რ-ებ-ა, თეთრ-ო-ან-ი, მო-თეთ-რ-ე,
 სი-თეთ-რ-ე...

ზან. (მეგრ.) თანთ-ალ-ერ-ი / თანთ-არ-ელ-ი, გო-თანთ-ალ-
 ერ-ი „ქათქათა“; ბრწყინვალე; პრილა;
 მეტად გათეთრებული“...
 ო-თანთ-ალ-ა-ი-ა "id";

სვან. თანთ-ალ-ი „ბრწყინვალეა; კრიალი; სითეთრე“...
 თუეთ-ნ-ე, თუეთუ-ნ-ე, თეთუ-ნ-ე, თეთ-ნ-ე
 „თეთრი“.

თეთრ ლექსემა დასტურდება უძველეს ქართულ წერილობით
 წყაროებში, მათ შორის, ხანმეტ ტექსტებშიც: ავერ შემძლებელ ხარ
 ერთისა თმისა განთეთრებად ანუ დაშავებად“ მ. 5,36. „ყოველნი იყ-
 ვნეს მოსილ თეთრითა“ მ.ცხ. 187 V. „მოვაჰსენე ერთი ხატი ყოვლად
 წმიდისაჲ, თეთროანად დახატული“ წყაროსთ. ოთხთავი.

თეთრ- ფუძეში -რ ძირეული ელემენტი არა ჩანს (თეთ-რ-ი), ის
 იგივე სუფიქსია, რაც მ-დედ-რ-ი, მამ-რ-ი, მკეე-რ-ი და მისთ. ფუძეებშია
 წარმოდგენილი. ამდენად თეთ-რ- ფუძეს რედუბლიციკრებულიად ვერ მი-
 ვიჩნევთ (მდრ. ზ.სარგველაძე: თე-თრ- <*თერ-თერ-).

ზანური თანთ- კანონზომიერი ფონემური შესატყვისია თეთ- ძი-
 რისა (თეთ-რ-ი) სვანურში, შესაძლოა, თუეთ- <*თეთუ-<*თეთ- (მდრ.
 თეთ-ნ-ულ-ი).

ამდენად, ქართველური ფუძე-ენის დონეზე არქეტიპად *თეთ- ძი-
 რი უნდა ვივარაუდოთ.

3. ქართ. ლენგ-ერ-ა-ე / ლენგ-ერ-ი,
 ლენგ-ერ-ე-ე / ლენგ-ერ-ე (იმერ.) „სულელი,
 ლენჩერა“ (ვ.ბერიძე);
 ლენგ-ირ-ი (ლეჩხ.) „უფხო, უნარმოკლებული,
 უვარგისი“ (მ.ჩიქოვანი).

ზან. (მეგრ.) ლაგ-ვა, ლაგ-უ-ზი-ა "id";
ლაგ-ვ-ალ-ი; ლაგ-ვ-ალ-ან-ს; მი-ლაგ-ვ-ალ-გ/უ...

ლენგ-ერ-ი / ლენგ-ირ- ფუძეებში -ერ/-ირ სუფიქსები ჩანს. იმე-რულ დიალექტში ამავე მნიშვნელობით ლენდ-ერ-ა ლექსმაც დას-ტურდება. საძიებელია, ლენგ-ერ-/ლენდ-ერ- ფუძეთა ეტიმოლოგია საერ-თო ამოსავალს (შემდგომ ფონეტიკურად ცვლილს) გულისხმობს, თუ სხვა-დასხვა ოდენობაა. ამ უკანასკნელს (ლენდ-ერ) თითქოს ზანურში შესა-ტყვისიც უჩანს (იხ. ქვემოთ).

ქართ. ლენგ-: ზან. ლაგ- (<*ლანგ-) შესატყვისობის საფუძველზე ქართულ-ზანური ენობრივი ერთიანობის ხანისათვის არქეტიპად *ლენგ-/*ლენგ- ძირი ჩანს სავარაუდებელი.

4. ლენდ-ერ-ა-ს მნიშვნელობით მეგრულში ლოდ-ორ-ი-ა და კა-ნურში ლოდ-ორ-ი გვხვდება. თუ დავუშვებთ ამოსავლად ლოდ-ორ-ფუძის ხმოვანმონაცვლე (*ლად-არ-) კორელატს (მდრ. ლაგ-ვა||ლიგ-ვ-ალ-ი||ლოგ-ო-ი-ა (<*ლოგ-ორ-ი-ა), მაშინ აქაც შესატყვისობის მაგალი-თები გვექნება:

ქართ. ლენდ-ერ-ა (იმერ.);

ზან. (მეგრ.) ლოდ-ორ-ი-ა "id" (ლოდ-ორ- <*ლად-არ-);

ზან. (ქან.) ლოდ-ორ-ი "непряха, ...бездельник" (ნ.მარი).

არქეტიპად ქართულ-ზანური ერთიანობის დროისათვის *ლენდ-/*ლენდ- ძირი უნდა ვიგულისხმოთ.

5. ქართ. ლიგ-ე-ბ-ა, გან-ლიგ-ე-ბ-ა „გაშტერებით უწმობა“ (სულხან-საბა), „გაშტერება, განცვიფრება“ (ილ.აბულაძე);
გან-ლიგ-ე-ბ-ულ-ი „განცვრებულ“, გაოგნებული, გაშტერებული; შემცთარი“ (ილ.აბულაძე).

ზან. (მეგრ.) ლიგ-ვ-ინ-აფ-ა, გო-ლიგ-ვ-ინ-აფ-ა „გაშტერება, გასულელება“;

ლიგ-ვ-ალ-ი, გო-ლიგ-ვ-ინ-აფ-ილ-ი, ლოგ-ო-ი-ა (<*ლოგ-ორ-ი-ა) „გაშტერებული, გაოგნებული...“

ო-ლიგ-ვ-ინ-ან-ს „სულელურად, გაოგნებულად
გამოიყურება...“

დასტურდება ძველ ქართულ ტექსტებში: „მთავრობანი იცვალნენ
და ჯელმწიფებანი განლიგნენ“ მ.სწ. 124,15; „როკვიდა იგი შორის შეი-
ნაჯეთა მათ, განლიგებულთა თუალითა სიმორვალითა მით ღწისაჲთა“
Ath. 11,162 v.

როგორც ჩანს, ლიგ- (ლიგ-ებ-ა) ძირის ე ხმოვნიანი ვარიანტია
ქართულ დიალექტებში შემონახული: ლენგ- (ლენგ-ერ-ა). აქედან გამო-
მდინარე, საერთო ეტიმოლოგიური წრისაა ხმოვანმონაცვლე ფუძეები:
გან-ლიგ-ებ-ა, ლენგ-ერ-ა (ე/ი: ქართულში) და ლაგ-ვა, ლიგ-ვა-ლი,
ლოგ-ო-ი-ა (ა/ი/ო: ზანურში).

ქართული ლიგ-ებ-ა და ზანური ლიგ-ვ-ინ-აჲ ფუძეთა შესა-
ტყვისობის მიხედვით, ქართულ-ზანური ენობრივი ერთიანობის ხანისა-
თვის არქეტიპად *ლიგ- ძირი უნდა ვიგულისხმოთ.

ლი ა ბ უ ლ ა ძ ე

ტერმინ „ველის“ შესახებ

ენათმეცნიერთა უმრავლესობა აღიარებს, რომ სემანტიკის ისტო-
რიაში ველის თეორია წარმოადგენდა უმნიშვნელოვანეს საფეხურს, რო-
მელმაც გადატრიალება მოახდინა ლექსიკური სემანტიკის სფეროში.
ს.ულმანმა მას „კოპერნიკული რევოლუციაც“ კი უწოდა.

ველის თეორია უარყოფს იმ თვალსაზრისს, რომ ენის ლექსიკუ-
რი მარაგი სიტყვათა მოუწესრიგებელი სიმრავლეა. ის ხაზგასმით აცხა-
დებს, რომ ლექსიკონი შედგება სიტყვათა ჯგუფებისაგან, რომლებიც
ერთმანეთთან მნიშვნელობებით არიან დაკავშირებული.

რატომ ეწოდა ამ შინაარსობრივად მოწესრიგებულ სიტყვათა
ჯგუფს „ველი“, საიდან მოდის ეს სიტყვა და ვინ იხმარა ის პირველად
ენათმეცნიერებაში — ამ საკითხს ვეხებით მოხსენებაში.

შვედი ენათმეცნიერი ს.ოჰმანი თავის დისერტაციაში აღნიშნავს, რომ ჭერ კიდევ 1874 წ. მისმა თანამემამულემ, ასევე შვედმა ენათმეცნიერმა ესაია ტეგნერმა იხმარა „ველი“ იმისათვის, რომ ნათლად გამოეხატა თავისი აზრი ენის მიერ ადამიანის ცნობიერების შინაარსის დანაწევრების შესახებ. კერძოდ, მან შეადარა ცნობიერების შინაარსი დაუმუშავებელ ველს (მინდორს). ეს შინაარსი სიტყვების საშუალებით თანდათან ნაწევრდება ისე, როგორც დაუმუშავებელი ველი იღებს თანდათანობით დამუშავებულ სახეს. ცნობიერების ველს ანუ შინაარსს სხვადასხვა ენის სიტყვები სხვადასხვაგვარად ამუშავებენ ანუ ანაწევრებენ.¹ ველის ნაწილები განსხვავებულ ფორმასა და სახეს იღებენ. განსხვავებულ ენებში ეს ნაწილები შეესაბამება ერთმანეთს მხოლოდ მაშინ, როცა ბუნება თვითონ ავლებს საგნებს შორის მკვეთრ საზღვრებს, მაგ., მზე, ცეცხლი, მამა — ისეთი სახელებია, რომლებიც ყველა ენაში გამოკვეთილია. მაგრამ როდესაც საქმე გრძნობებს ან, მაგალითად, აბსტრაქტულ ცნებებს ეხება, მაშინ ასეთი ბუნებრივი საზღვრები აღარა გვაქვს. ამიტომ, — ამბობს ტეგნერი, — ხშირად შეუძლებელია ქეშმარიტად ზუსტი თარგმნა ერთი ენიდან მეორეზე.

„ველის“ ტეგნერისეულმა შინაარსმა არ შეიძლება არ გაგვახსენოს ჰუმბოლდტის გამონათქვამი იმის შესახებ, რომ შესაცნობელი სამყარო გადაშლილია ყოველი ენის წინ და ყოველი ენისაგან დამოუკიდებლად როგორც ველი, რომელიც უნდა დამუშავდეს ადამიანის გონების მიერ.

ამრიგად, როგორც ჰუმბოლდტი, ასევე ტეგნერიც „ველს“ ხმარობენ არა როგორც სამეცნიერო ტერმინს, არამედ როგორც მხატვრულ სახეს — შედარებისათვის.

როგორც სამეცნიერო ტერმინი, „ველი“ პირველად იხმარეს ფიზიკაში, როცა 1852 წელს ფარადეიმ და მაქსველმა შეიმუშავეს ელექტრობის თეორია. ხოლო მას შემდეგ, რაც აინშტაინმა ტერმინი „გრაวิตაციული ველი“ იხმარა, ეს სიტყვა ხმარებაში შევიდა სამეცნიერო და მეცნიერებასთან ახლოს მდგომ წრეებში. როგორც ჩანს, ფიზიკიდან

¹ აქ არ შეიძლება არ გაგვახსენდეს ე.კასირერი: „უშუალო შთაბეჭდილებების ქაოსი ჩვენთვის ნათდება და ნაწევრდება, როცა მას სახელს ვარქმევთ“. შდრ. მ.კეცეტავე: „изъять — значит овладеть“.

გადავიდა ის ფსიქოლოგიაშიც, კერძოდ, გეშტალტფსიქოლოგიების წრეში, მაგალითად, ლაიფციგის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის შრომებში.

გამოთქმა ცნებათველი (Begriffsfeld) შინაარსობრივად ერთმანეთთან ახლოს მდგომი სიტყვების აღსანიშნავად 1919 წ. იხმარა ამ ინსტიტუტიდან გამოსულმა ჰაინც ვერნერმა. ვერნერს მაგალითად მოჰყავს მაღალიური ენა, სადაც სიტყვები — ყვითელი, ოქრო და ვალი — ქმნიან ერთ ცნებით ველს. ამ მაგალითიდან ჩანს, რომ ვერნერი „ცნებათველს“ ხმარობს სიტყვებს შორის მეტაფორული მიმართებების გამოსახატავად. უფრო ადრე, კერძოდ, 1910 წ. იხმარა გამოთქმა „ცნებათველი“ ფილოსოფოსმა ა.შტორმა ტრადიციული გამოთქმის „ცნებათმოცულობის“ (Begriffsumfang) ნაცვლად. მას მხედველობაში ჰქონდა არა შინაარსობრივად ერთმანეთთან ახლოს მდგომ სიტყვათა ჯგუფი, არამედ ერთი სიტყვა და მისი მნიშვნელობის მოცულობა. არც შტორისა და არც ვერნერის ნაშრომებს არ მოუხდენია გავლენა ენათმეცნიერთა შრომებზე, როგორც ამას სამართლიანად შენიშნავს ჰობერგი.

ველი, როგორც ენათმეცნიერული ტერმინი, პირველად გამოიყენა გ.იბსენმა 1924 წ., კერძოდ, მან იხმარა გამოთქმა — მნიშვნელობათველი — (Bedeutungsfeld). რას აღნიშნავდა იგი ამ ტერმინით? იბსენის აზრით, სიტყვათა მნიშვნელობები ხაზზე კი არ არის ჩამწკრივებული, არამედ — სიბრტყეში. ეს სიბრტყე შინაგანად დანაწევრებულია როგორც მოზაიკა, ისე, რომ მისი ერთეულები მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული. მეზობელ სიტყვათა მნიშვნელობების კონტურები ერთმანეთს ესაზღვრებიან და ყველანი ერთად ერთ გარკვეულ შინაარსს აწესრიგებენ. იბსენი აღნიშნავს, რომ ეს არ არის ეტიმოლოგიურად ერთმანეთთან ახლოს მდგომი სიტყვების კავშირი, რომლებიც „ერთი ქიმურული ძირიდან მომდინარეობენ“, არამედ ერთი შინაარსის სათავესია ანუ კონტეინერი, როგორც ახლა იტყოდნენ. კ.ჰერბერმანი შენიშნავს, რომ იბსენი ლაიფციგის გეშტალტფსიქოლოგთა წრესთან იყო დაკავშირებული, ამიტომ მათი გავლენა მის ნაშრომზე არ არის გამორიცხული, მოზაიკის სახე კი ძალზე ბუნებრივი ეჩვენება ადამიანს, როცა გერმანიაში ეკლესიების ვიტრაჟებს უყურებს.

იბსენისეული აზრით ხმარობს ამავე ტერმინს 1931 წელს ველის თეორიის საყოველთაოდ აღიარებული ფუძემდებელი ი.ტარიი. მისთვისაც ველი არის შემოსაზღვრული სივრცე (სიბრტყე) შინაგანი

დანაწევრებით. სიტყვათველის გვერდით იგი ხმარობს ასევე გამოთქმებს: სიტყვათბადე, სიტყვათსაფარი, სიტყვათმოსასხამი (Wortnetz, Wortdecke, Wortmantel).

ტრირი თავის გვიანდელ სტატიასში წერდა, რომ მისთვის ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული სიტყვათა ველის სურათი შეცვალა ვარსკვლავის მსგავსმა სახემ. ერთი ვარსკვლავის გულიდან (სიტყვათველის ცენტრიდან) გამოსული სხივების წვერები შეიძლება მეზობელი ვარსკვლავის ცენტრამდეც კი აღწევდესო. ტრირი 1968 წ. შენიშნავდა აგრეთვე, რომ ტერმინი „ველი“ პირველად იპსენმა იხმარა და რომ ამ გამოთქმამ მასში გამოიწვია არა მოზაიკის მსგავსი, შინაგანი სტრუქტურის მქონე, სიბრტყის წარმოდგენა (როგორც თვითონვე წერდა 1931 წ.), არამედ სრულიად განსხვავებული რამ, კერძოდ, გაქვნიებული ცხენების სურათი — ველი, რომელზედაც ცხენები გარკვეული მიზნისკენ მიისწრაფვიან და ურთიერთგანლაგებასა და ადგილმდებარეობას იცვლიან. „როცა იპსენის გამოთქმა „ველი“ გავითავისე, მაშინ არ გამომიჩნავს კატეგორიულად ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულ სიტყვათა კონტურების მოზაიკური სახე და იმ ველის სურათი, რომელზედაც ცხენები მიირბიან, რისთვისაც ჩემს თავს უნდა ვუსაყვედუროო“, — შენიშნავდა ტრირი. ტერმინ „ველის“ სხვა მოტივაციაზე მიუთითებს ლეაისგერბერი. როგორც ის ამბობს, მისთვის სიტყვათველი — სიცოცხლით სავსე სინამდვილეა, რომელშიაც ფესვების ძალამ და აყვავებისაკენ მისწრაფებამ სივრცე უნდა მოიპოვოს. ველი მასთან ზრდის სახეს იღებს.

როგორც ჰერბერმანი შენიშნავს, კომპოზიტ „სიტყვათველის“ მეორე შემადგენელი ნაწილის — ველის — სხვადასხვანაირი გაგების, მასთან სხვადასხვა ასოციაციების გაჩენის შესაძლებლობა არის ალბათ სწორედ ველის თეორიის სიცოცხლისუნარიანობის ერთ-ერთი მიზეზთაგანი.

ქართული და ქართველური ენების სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები აკად. ს.ჯანაშიას შრომებში

აკად. ს.ჯანაშიას მრავალმხრივი მეცნიერული მოღვაწეობის ერთ მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს გამოკვლევები ქართული და ქართველური ენების სტრუქტურისა და ისტორიის არაერთი პრობლემური საკითხის შესახებ. მეცნიერის მემკვიდრეობა ამ სფეროში კვლევის თანამედროვე დონეზე ინარჩუნებს თავის ქეშმარიტ მნიშვნელობასა და აქტუალობას. ეს მემკვიდრეობა რამდენიმე ძირითადი მიმართულების სახით შეიძლება იქნეს წარმოდგენილი:

1. ს.ჯანაშიას მეცნიერულ ძიებებში ერთ გამორჩეულ ადგილს იკავებს სხვადასხვა წყაროებში დაცული ქართველურ ტომთა ეთნონიმების ანალიზი და ქართველთა ეთნოგენეზისის კვლევა ენობრივი (ონომასტიკური) მონაცემების საფუძველზე. შესაბამისი პრობლემები და ფაქტობრივი მონაცემები თავს იყრის მეცნიერის ფუნდამენტურ ნაშრომში „თუბალ-თაბალი, ტიბარენი, იბერი“, რომელიც ენიმკის მოამბის I ტომში გამოქვეყნდა და იმთავითვე ქართველოლოგიის კლასიკურ ფონდში შევიდა.

2. რამდენიმე მნიშვნელოვანი წერილი მიეძღვნა ქართველური ენების ისტორიის საკითხებს, განსაკუთრებით სევანური და ადიღეური ენების ურთიერთობის პრობლემას.

3. ფრიად საყურადღებოა გამოკვლევები ქართული ენის ისტორიის ისეთი საკითხების შესახებ, რომელთა გადაწყვეტას თავისი დროისათვის უაღრესად პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა. მკვლევარი რამდენჯერმე შეეხო ისეთ მნიშვნელოვან მოვლენას ქართულ ფილოლოგიაში, როგორიც იყო ხანმეტი ტექსტების აღმოჩენა და ივანე ჯავახიშვილის თანამოსაგრე ამ საკითხშიც მხარში ედგა დიდ მოძღვარს. მასვე ეკუთვნის გონებამახვილური ეტიმოლოგია ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანი საკუთარი სახელისა ხაზარე. ენის ისტორიის თვალსაზრისით ასევე ფრიად საყურადღებოა მკვლევრის წერილი „მრავლობითი რიცხვის -თა/თ სუფიქსის ეტიმოლოგიისათვის“.

4. მეტად მნიშვნელოვანია ს.ჯანაშიას წვლილი ახალი ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დადგენის საქმეში, რასაც, ბუნებრივია, სათანადო მასალის ღრმა ენათმეცნიერული ანალიზი უდევს საფუძვლად. ამის დასტურია მისი არაერთი წერილი სხვადასხვა ორთოგრაფიული საკითხის შესახებ.

5. ცალკე შეფასებას მოითხოვს მაღალი ფილოლოგიური მოთხოვნების შესაფერისად გამოცემული X ს-ის ხელნაწერი „ცხორებაჲ საბა ასურისაჲ“, რომელიც ტექსტობრივ მონაცემებთან ერთად, არაერთ საყურადღებო ენობრივ ფაქტს შეიცავს. ნიშანდობლივია თვით გამოცემის ტექსტოლოგიური პრინციპი: დაცულია ხელნაწერის პუნქტუაცია და აბზაცები, შენარჩუნებულია ქარაგმები და სხვ.

ნ ო დ ა რ ა რ დ ო ტ ე ლ ი

**ლაბიალიზებულ თანხმოვანთა საკითხისათვის
ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენებში**

1. ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენებში დასტურდება C+ჟ ტიპის ლაბიალიზებული კომპლექსები, რომლებიც წარმოადგენენ ფაქტობრივად ორი დამოუკიდებელი ფონემის ჯამს და, აქედან გამომდინარე, თვალსაჩინოდ განსხვავდებიან აფხაზურ-ადიღურ ენათა ლაბიალიზებული გ°, ქ°, კ° და ზოგი დაღესტნური ენის (თაბასარანული, დარგუული...) ე.წ. დენტო-ლაბიალიზებული ჯ°, ჩ°, კ° თანხმოვნებისაგან, რომლებსაც ფონოლოგიური ღირებულება მოეპოვებათ.

2. სპეციალური ლიტერატურის მიხედვით, ლაბიალიზებული თანხმოვნების არსებობა ივარაუდება დაღესტნურ ფუძეენაში, რომელთა შესაბამის ელემენტებად დაშლით მივიღეთ ამჟამინდელი ვითარება (ნ.ტრუბეცკოი, ტ.გუდავა, ე.ლომთაძე...).

ჩვენი მოსაზრებით, ისტორიულად ხუნძურ-ანდიურ-დიდოური ენებისთვის არ უნდა ყოფილიყო ნიშანდობლივი ლაბიალიზაციის მიხედვით თანხმოვანთა კორელაცია. ამგვარი ინტერპრეტაციის სასარგებლოდ მეტყველებს ისეთი იდენტური ბგერათშესატყვისობანი, რომელთა მიხედ-

ვით ლაბიალიზებული კომპლექსები არ განსხვავდებიან სათანადო მარტივი თანხმონებისაგან, მაგ.:

ამოსავალი ვითარება	ხუნძ.	ს.-ანდ.	ს.-დიდ.	
*წჰ	წჰ	წჰ	წჰ	
	მაწჰ	*მაწჰი	*მიწჰი	„ენა“
*წჰჟ	წჰჟ	წჰჟ	წჰჟ	
	წჰჟა	წჰა(<*წჰჟა)	ცა(<*ცჟა)	„ვარსკვლავი“

3. იმ დაღესტნურ ენებში (მაგ., დარგუშულში, თაბასარანულში...), რომლებშიც ლაბიალიზებულ კომპლექსებს მონოფონემური სტატუსი აქვთ, ისინი წარმოქმნილი უნდა იყვნენ ჟ სონანტის შეერთებით ძირითად თანხმონთან. ამიტომ ამა თუ იმ ენაში ლაბიალიზებულ თანხმონთან ამაჟამინდელი პოვნიერება ინოვაციას წარმოადგენს და ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ფუძეენაში ლაბიალიზებულ ფონემათა პოსტულირების შესაძლებლობას არ იძლევა.

შ უ ქ ი ა ა ფ რ ი დ ო ნ ი ძ ე

ქართული სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის საკითხები აკად. სიმონ ჯანაშიას შრომებში:
პრინციპები და პროექტები

1. სიმონ ჯანაშიას ბიოგრაფიის ადრეულმა კონკრეტულმა ფაქტებმა, თანდაყოლილ ნიქთან ერთად, შეაპირობა მომავალი მეცნიერის ენობრივ-ლიტერატურული მიდრეკილება-ინტერესები. უკვალოდ არ ჩაუვლია არც პირველკურსელის ყოყმანს სპეციალობის არჩევისას ახლად დაარსებულ თბილისის უნივერსიტეტში და არც კურსდამთავრებულის მიერ ორი დიპლომის დაწერას — ისტორიასა და ენათმეცნიერებაში,

რამაც მოგვიანებით განსაზღვრა კიდევ მისი პროფესიული საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი სფერო — ენათმეცნიერება.

მაგრამ ლინგვისტიკა ს.ჯანაშიას მეცნიერულ ნააზრევში მხოლოდ ისტორიული კვლევისათვის საჭირო დამხმარე საშუალება არ ყოფილა: მას თავისთავადი, ამასთან, საზოგადოებრივ-კულტურული ღირებულება ჰქონდა. ამას მოწმობს არა მარტო ს.ჯანაშიას საენათმეცნიერო ნაშრომების ფართო თემატური დიაპაზონი (ენის ისტორია, დიალექტოლოგია, ონომასტიკა თავისი ქვედარგებით, ეტიმოლოგია, ფონეტიკა, მორფოლოგია, სინტაქსი) ან კვლევის მეთოდი (კომპარატივისტიკა), არამედ მეცნიერის ინტენსიური თეორიული და პრაქტიკული მუშაობა ქართული სალიტერატურო ენის ნორმალიზაცია-უნიფიკაციის სფეროშიც.

2. 30-იანი წლები იყო ყველაზე ნაყოფიერი ხანა ამ მიმართულებით მეცნიერის მუშაობისა, რასაც მოწმობს 1932 წ. „ენისა და ტერმინოლოგიის“ კომისიის სხდომებზე ზედიზედ წაკითხული მოხსენებები, რომელთაგან პრინციპული მნიშვნელობა ენიჭება მის ვრცელ და მრავალი მხრივ საგულისხმო ნარკვევს — „რით უნდა ვიხელმძღვანელოთ მართლწერისა და სალიტერატურო ენის ნორმების დადგენისას?“ ასევე დიდად ღირებულია 1934 წ. ს.ჯანაშიას მიერ საქართველოს მწერალთა კავშირში სალიტერატურო ენის შესახებ წაკითხული მოხსენება „ქართული სალიტერატურო ენის საკითხები“ (ორივე ნაშრომი პირველად გამოქვეყნდა ს.ჯანაშიას „შრომების“ შესამე ტომში 1959 წ.).

თუ გავიხსენებთ, რომ ამ წლებში მზადდებოდა ახალი საბჭოთა (ე.წ. „სტალინური“) კონსტიტუცია, რასაც უნდა მოჰყოლოდა მოკავშირე რესპუბლიკების კონსტიტუციებიც (რომლებშიც, თავის მხრივ, შეიძლებოდა ერთგვარად ასახულიყო ეროვნული ენების სტატუსიც), გასაგები უნდა იყოს ამ მოხსენების არა მხოლოდ კულტურული, არამედ დიდი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მნიშვნელობაც.

3. ქართული ენის ისტორიაში პირველი კრებული სალიტერატურო ქართულის ნორმებისა (1936 წ.), რომელთაც საფუძვლად უდევს არნ. ჩიქობავას მიერ ჩამოყალიბებული ძირითადი პრინციპები სალიტერატურო ენის ნორმების დადგენისა, შეიცავს ს.ჯანაშიას მიერ შემუშავებულ სამ ნორმას. ესენია: 1. მსაზღვრელის შეთანხმება საზღვრულთან (წითელი ღროშის თუ წითელ ღროშის?); 2. -ურ და -იურ ბოლოსართ-

თა ხმარებისათვის ნასესხებ სიტყვებში; 3. გერმანული ei დიფთონგის გადმოცემისათვის ქართულში.

სამსავე ნორმას, რომელთა თეზისებად წარმოდგენილი პროექტები დამტკიცებული იყო მაშინდელი განათლების კომისიარიატის მიერ, საფუძვლად ედო 1932 წელს „ქართული ენისა და ტერმინოლოგიის კომისიის“ სხდომებზე სიმონ ჯანაშიას მიერ წაკითხული მოხსენებები, რომლებიც სრული სახით პირველად დაიბეჭდა მეცნიერის შრომების მესამე ტომში (1959 წ.). აქვეა შესული ნორმებთან დაკავშირებული კიდევ ორი მოკლე სტატია: „საშუალო თუ საშვალი“ და „მდე თუ მდის“, რომელთაგან მეორე დაუმთავრებელია — სათაურისეულ კითხვას პასუხი არა აქვს გაცემული (ორივე უთარიღოა, თუმცა, რედაქციის ვარაუდით, „დაწერილი უნდა იყოს 30-იანი წლების დასაწყისში“).

4. 1946 წელს, გარდაცვალებამდე ერთი წლით ადრე, ს.ჯანაშია აირჩიეს ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი მუდმივი სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარედ: ეს იყო მეცნიერის ქრონოლოგიურად უკანასკნელი (თუმცა ღირსებით პირველთაგანი) თანამდებობა, მოვალეობა თუ პასუხისმგებლობა. და ეს საპატიო მოვალეობა სიმონ ჯანაშიას დაეკისრა მაშინ, როდესაც მას მოპოვებული ჰქონდა მისი ასაკისა და მდგომარეობისათვის შესაფერისი და შესაძლო თითქმის ყველა სამეცნიერო თუ საზოგადოებრივი რეგალია, ამასთან, არა მარტო საქართველოს, არამედ საკავშირო მასშტაბითაც (საქართველოს და საკავშირო მეცნიერებათა აკადემიების ნამდვილი წევრი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, ჯერ ენიშნის, შემდეგ კი — ენათმეცნიერებისა და ისტორიის ინსტიტუტების დირექტორი, ამასთან, სამი წლის მანძილზე — ერთდროულადაც (!), საკავშირო უმაღლესი საბჭოს დეპუტატი...).

უნდა ვიგულისხმოდ, რომ აღნიშნული კომისიის თავმჯდომარეობა — ფორმალურადაც (ოფიციალურად) და რეალურადაც — ესოდენ მაღალი სტატუსის მქონე მეცნიერისათვის ფაქტობრივ ნიშნავდა ქართული სალიტერატურო ენისა და მისი სიწმინდის დაცვის საკითხის აყვანას სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის პრობლემათა რანგში.

ამისათვის ნიადაგი უკვე შემზადებული იყო კონსტიტუციურადაც.

რედუქცია სვანური ენის ლენტეხურ დიალექტში

1. რედუქციის საკითხებს სვანურ ენაში იკვლევდნენ ა.შანიძე, ვ.თოფურია, ზ.კუმბურიძე, მ.ქალდანი, მ.ნიკოლაიშვილი. ყველა, ვინც რედუქციას ლენტეხურ დიალექტში ეხებოდა, აღნიშნავს, რომ აქ რედუქცია სუსტია, შენელებულია.

2. რედუქციისათვის ლენტეხურ დიალექტში მნიშვნელობა აქვს: ა) როგორია სარედუქციო ბირთვი — მსუბუქი თუ მძიმე, ბ) რამდენ-მარცვლიანია სიტყვა პოტენციურად, გ) რომელი ხმოვანია სარედუქციო პოზიციაში მაღალი თუ დაბალი აწეულობისა, ლაბიალური თუ არალაბიალური.

3. რედუქციას განიცდის ლენტეხურში ცხრავე ხმოვანი. ა, ა, ე, ი, ო, ო (უე), უ, უ (უე), გ. რედუქციის სისტემური ხასიათი აქვს მაღალი აწეულობის ხმოვნებთან. დაბალი აწეულობის ხმოვნები ძნელად ემორჩილებიან რედუქციას. რედუქციის შედეგის თვალსაზრისით მნიშვნელობა აქვს ლაბიალურია ხმოვანი თუ არა. წარმოშობით გრძელი ხმოვნები არ რედუცირდებიან. უმლაუტიანი და არაუმლაუტიანი ხმოვნები სხვაობას არ აჩვენებენ.

4. ლენტეხურ დიალექტში ძირისეული ხმოვნები უფრო „მტკიცეა“, ნაკლებ ემორჩილებიან რედუქციის წესებს, ვიდრე აფიქსისეული ხმოვანი. ამიტომ ზმნაში, შეიძლება ითქვას, რედუქცია „პერიფერიაში“ ხდება.

5. მსუბუქ ბირთვში (მსუბუქია CVC, CVS, SVC, CVCC... ტიპის ბირთვი) არალაბიალური ხმოვნები სინკოპირდებიან, ლაბიალური ხმოვნები მონაცვლეობენ როგორც უ-სთან, ასევე Ø-თან.

6. მძიმე ბირთვში (მძიმეა ბირთვი, რომელშიც მოიპოვება სონორის შემცველი თანხმოვანთიმედევრობა CVCS, CSV, SCVC...) განსხვავებული ფონოლოგიური გარემო იქმნება და რედუქციასაც, შესაბამისად, სხვა სახე აქვს. ამგვარ ბირთვში არალაბიალური ხმოვნები მონაცვლეობენ გ-სთან, ლაბიალური ხმოვნები კი არ რედუცირდებიან, ისევე, როგორც ბალსზემოურ დიალექტში.

7. ოთხ- და ხუთმარცვლიან სიტყვებში შესაძლებელია ორი ხმოვნის რედუქცია ორ მსუბუქ ბირთვში, ოდონდ სარედუქციო ხმოვნები მაღალი აწეულობისა უნდა იყოს (აღკებდღ < აღიკებიდღ „დაიმწყვდია“, აწშდღ < აწიშდღ „ჩამოიყრის“, ადსგპნე < აღისიპინე „გადაიბრუნა“, იყენალენი < იყვინალენი, „დაწება ხოლმე“).

8. სვანურ ენაში გვაქვს ხუთ- და მეტმარცვლიანი სიტყვები, რომლებშიც რედუქცია მხოლოდ ერთ ხმოვანს მოსდის. ლენტეხურში ასეთ სიტყვებში რედუქცია შეიძლება საერთოდ არ მოხდეს:

ბზ.	ლტ.	
აღხუტუ-რე	ადახუტურე	„დაკრა“
ადგლგ-რე	ადაგლგ-რე	„დახია“
აღჟაჟ-რე	ადაჟაჟურე	„წელი მოსწყვიტა“

ც ი რ ა ბ ა რ ა მ ი ძ ე

მცირე სემანტიკური ძიებანი თაბასარანულ ენაში

ლაბიალიზებული თანხმოვნების მეორეულობა თაბასარანულ ენაში, ისევე როგორც ბევრ სხვა ენაში, ექვემდებარება. დღეს ლაბიალიზაციის მიხედვით ორი დიალექტი — სამხრული და ჩრდილოური — უპირისპირდება ერთმანეთს. სამხრულ დიალექტში დასტურდება უკანა-ენისმიერთა (გუ, ქუ, ქჷ, კუ, ლუ, ხუ) და ფარინგალთა (ჳუ, ეჳუ, ყუ) ლაბიალიზაცია. ჩრდილოურ დიალექტში ლაბიალიზაცია მოშლილია, რის შედეგადაც გვაქვს ომონიმები (ალ. მაჰომეტოვი).

თაბასარანულ ენაში ფონემური ღირებულების მქონე ლაბიალიზებულ თანხმოვანთა გვერდით წარმოდგენილია ლაბიალური ხმოვნის რედუქციითა და მახვილის გავლენით გამოწვეული ლაბიალიზაცია. (კაკულ „შეშა“, მრ.რ. კაკულჲ^რ < კაკულჲ^რ, ბაჩუკ „ქუდი“, მრ.რ. ბაჩუჲ^რ < ბაჩუჲ^რ < ბაჩუჲ^რ, ერგ. ბრ. ბაჩუჲ^რ, ნათ. ბაჩუჲ^რ).

ყურადღებას იქცევს მეორეული ლაბიალიზაციის საპირისპირო დელაბიალიზაციის პროცესიც. მაგალითად, ხანაგის თქმა: *ჟუ* „ზომის ერთეული“ ($=1/2$ მ), *შდრ.* ტივაქის თქმა: *ჟიკი*, *ხივის* თქმა: *ჟუკ*, *დარგ.* ენა ად *დიკუ* (ალ.მაჰომეტოვი).

ზმნურ ძირთა ფონეტიკური შედგენილობის ანალიზმა გვიჩვენა, რომ ამ ენაში ლაბიალიზებული თანხმოვნები ზმნური ძირის აგებულებაში არ მონაწილეობს. კანონზომიერია, ზმნამ გარკვეულწილად მაინც შემოგვინახოს სწორედ იმ ვითარების კვალი, რაც ამა თუ იმ ენისათვის განვლილი ეტაპია, რითაც ისიც წარმოჩნდება, რაც ენაში ახალია და შეძენილი.

თაბასარანულ ენაში ლაბიალიზებული ფონემები მხოლოდ სა-მხრული დიალექტისა და, რაც ყველაზე მეტად საყურადღებოა, მხოლოდ სახელური ფუძეების კუთვნილებაა. ლაბიალიზებული ბგერების მიხედვით სიტყვები უპირისპირდებიან არალაბიალიზებული ბგერების მქონე სიტყვებს და მათი მნიშვნელობები განსხვავებულია.

გჳარ „დოქი“,	შდრ.	გარ „ნაქუქი“, „ქერქი“
ხჳარ „ფაშატი“		ხარ „ცერცი“, „მუხულო“, „ბარდა“, „სეტყვა“
კჳანტ „ბაგჳ“		კანტ „წვეთი“, „ცვარი“, „სითხის ნარჩენი“...

ლაბიალიზაციის მოშლით ჩრდილო დიალექტში გაჩნდა ომონიმები, მაგალითად, ტივაქის თქმაში:

გარ „დოქი“, „ნაქუქი“
ხარ „ფაშატი“, „ცერცი“

კან „ფსკერი“, „ძირი“, აგრეთვე *ჟუკუ* „გული“-ს ნათ. ბრ. ფორ-მა... მეორე მხრივ, ენაში გვაქვს ლაბიალიზებულ ფონემიანი სიტყვები, რომელთაც შესაბამისი დელაბიალიზებულ ფონემიანი სიტყვები განსხვავებული მნიშვნელობებით არ ეძებნება: ღჳან „ქვა“, ნიკჳ „სიზმარი“, კჳაკჳა „ხის ლანგარი“, ხჳახჳა „ქალა“, ჳაჳჳ „ბელურა“.

თაბასარანულ ენაში ყურადღებას იქცევს ლაბიალიზებული და შესაბამის დელაბიალიზებულ ფონემიან სახელურ ფუძეთა სემანტიკური დაკავშირება, მაგალითად, გჳარ „დოქი“ — გარ „ნაქუქი“, „ქერქი“.

ორივე შემთხვევაში ლექსიკურ ერთეულთა მნიშვნელობები ახლოს დგას ერთმანეთთან. დოქი იგივეა, რაც შემოზღუდვა, ქერქი, ნაჭუქი, რომელშიც განთავსდება რაიმე სითხე, ნაჭუქში — კვერცხის შიგთავსი, ქერქში — მერქანი. ეს მნიშვნელობები ერთმანეთს უკავშირდება ქურჭლის, შემოზღუდვის, გარედან დაცვის სემანტიკით. კუნ „გული“ (ნათ. ბრ. ფორმა) სემანტიკურად დაკავშირებულია კან „ფსკერთან“, „ძირთან“, სიღრმესთან, გული ხომ სიღრმეშია.

რიგ შემთხვევაში სემანტიკური კავშირი გამკვირვალეა. ზოგჯერ კი მნიშვნელობები ძალზე დაშორებულია ერთმანეთს, მაგალითად, კუნტ „ბაგე“ — კანტ „წვეთი“, „სითხის ნარჩენი“, ნაყუ „საფლავი“ — ნაყ „გუშინ“. თუმცა ამოსავალი საერთო სემის ძიება აქაცაა შესაძლებელი: წვეთი — ცვარი — სითხის ნარჩენი, ზოგადად სველის აღნიშვნა (იქნებ სველი ბაგე?). ნაყუ „საფლავი“ შესაძლებელია იყოს ნიკუ „სიზმრის“ ფონეტიკური ვარიანტი და ბნელის მნიშვნელობით უკავშირდებოდეს ერთმანეთს. შეპირისპირება კუნარ „მიჯნა“ — კარ „საგორავი“, „ცომის გასაყვანი“ შეიცავს ზღვრის, მიჯნის, ბოლომდე მიყვანის სემანტიკას. შესაძლებელია, შეპირისპირება შეპირობებული იყოს უარყოფითი ასოციაციის მქონე სემით. მაგალითად, კუნარს „ავი სული“ — ვარს „სილა (სახეში გარტყმა) გვიჩვენებს მოულოდნელობის უარყოფით მნიშვნელობას.

ამგვარი სემანტიკური დაკავშირებები თანამედროვე დონეზე თაბასარანულ ენაში სისტემურ ხასიათს არ ატარებს, მაგრამ საფიქრებელია, რომ იგი ყოფილიყო აუცილებელი ლაბიალიზებულ და დელაბიალიზებულ ფონემათა შემცველ სახელებში მნიშვნელობათა დიფერენციაციის დროს. მნიშვნელობათა შეპირისპირების არათანაბრობა მიუთითებს ლაბიალიზებულ ფონემათა მეორეულობას და ცვალებადობის სხვადასხვა ეტაპზე, რომელთაგან უფრო ძველი უნდა იყოს შეპირისპირებები, სადაც ეს დაკავშირება უკვე დაჩრდილულია და საექვო ხდება.

მეგრულის მესაქონლეობის ლექსიკიდან

I. ჭურჭლის აღმნიშვნელი ტერმინები

სამეგრელოს ერთ-ერთი უძველესი და უმნიშვნელოვანესი სამეურნეო დარგის — მესაქონლეობის ლექსიკას გამორჩეული ადგილი უჭირავს მეგრული დიალექტის სიტყვიერ ფონდში. ამ ლექსიკურ ერთეულთა ეტიმოლოგიურ-სტრუქტურული ანალიზი საინტერესო სურათს წარმოგვიდგენს მეგრულ-ლაზურის, ქართველურ თუ იბერიულ-კავკასიურ ენათა კვლევისას.

მოხსენებაში განხილულია მესაქონლეობის ლექსიკის ერთი სემანტიკური ჯგუფის ნაწილი - ჭურჭლის აღმნიშვნელი ცალკეული ტერმინები, რომლებიც გვხვდება მეზობელ აფხაზურ ენაშიც.

საანალიზო მასალა საშუალებას გვაძლევს ჩვენს ხელთ არსებული ფორმები ოთხ ჯგუფად დავყოთ:

1. მეგრულიდან ან მეგრულის საშუალებით ქართულიდან შეთვისებული სიტყვები: მეგრ. ბუყუნი — აფხ. აბუ⁹ღლ „ხის ჭურჭელი რძისა და მაწვნისათვის“ (შდრ. იმერ. ბოკონი „ყველის ჩასადები ჭურჭელი“), მეგრ. გვაბალა — აფხ. ა-გ⁹აბალაა „ხის გობი, რომელზეც ზე-ლენ სულუგუნს“, მეგრ. დერგი, ლაზ., აქარ. დერგულა — აფხ. ა-დგრგ~ლა „ყველის შესანახი თიხის ჭურჭელი“, მეგრ. ნიგა||ნგვა — აფხ. ა-ნგვა „საწველელი“ (შდრ. იმერ. ნიგა||ნოვა „რძის ჩასაწველი ჭურჭელი“), მეგრ. ფოხალი — აფხ. ა-ფჰალ „თიხის ჭურჭელი წყლისა“ (შდრ. იმერ., რაჭ. ფოხალი „ხის ჭურჭელი“, ქიზიყ. „საწყაო ერთეული“), ქართ.-მეგრ. ქვაბი — აფხ. ა-ქ⁹აბ „ქვაბი“, გურ.-იმერ. ყუბარი — აფხ. ა-ყ⁹ბარ „მომცრო დერგი“, მეგრ. ლაუჯელი, ლაზ. უჯელი — აფხ. ა-უჟჰალ „ხის ჩასაწველი“...

2. უცხო ენიდან (აღმოსავლურენოვანი სამყაროდან) შეთვისებული ლექსიკა, სადაც სესხებისას შუალედურ რგოლად მეგრული ივარაუდება: არაბ. მათარა — ქართ.-მეგრ. მათარა — აფხ. ა-მათარ „წყლის ჭურჭელი, იყენებდნენ მწყემსები“, თურქ. ჩუანი — მეგრ. ჩუანი, ლაზ. ჩვანი||ჩუვენი — აფხ. ა-ჩუან, ა-თუჯჩუან „ქვაბი“, „თუჯის ქვაბი“...

3. აფხაზურიდან მეგრულში შემოსული სიტყვები, რომლებიც ხანდახან ქართული ენის მიკროსისტემებში იჩენს თავს: აფხ. ა-ფშგრაჰა — მეგრ. აბშირა||აბშირჲა||აფშირა||აფშარა||აფშგრა||აფშიქა||აფშირჰა „ყველის შესანახი ხის ქურქელი“ (შდრ. ლეჩხ. აფშარა „სულუგუნის კალაპოტი“), აფხ. ა-რაძაგა||ა-ნრაძაგა — მეგრ. ხაზარაკი||ხაზარაკა||ხა-რაზა||ხარაძაგა||ხგრაძაგა||ხგრაძაგაჲა „რძის საწური“...

4. ლექსიკური ერთეულები, რომლებიც ნასესხები ჩანს ორსავე ენობრივ ერთეულში, მაგრამ სესხების მიმართულების დადგენა პირს: აფხ. ა-ჩაჲჲ, მეგრ. ჩაჲჲა „ხის ჯამი მაწვნის ან რძის ამოსაღებად“ (შდრ. იმერ. ჩაჲჲა||ჩაკვა „ხის ქურქელი, ხმარობენ წყლის სასმისად და მაწვნის ჩასასხმელად“...).

მოხსენებაში განხილულია ის ფონოტაქტიკური წესები, რომლებიც ხორციელდება მეგრულ-აფხაზური ურთიერთსესხების დროს.

გ ე ნ ა ლ ი ბ უ რ ქ უ ლ ა ძ ე , გ უ რ ა მ თ ო ფ უ რ ი ა

⋮

ს.ჯანაშია და დაღესტნური ენები

1. 1929 წლის 1 აგვისტოს ს.ჯანაშია ივანე ჯავახიშვილის პირად ბარათში აცნობებდა: „ამ დღეებში მივდივარ ყაბარდოში... მსურს ორი კვირა ყაბარდოელებთან გავატარო, დანარჩენი — ბათალფაშინსკის რაიონში და ქისტეთში. თუ მოვახერხებ, განზრახვა მაქვს დაღესტნისკენაც გავიარო, ზოგიერთი სპეციალური საკითხების დასამუშავებლად (ხუნძურზე სამუშაოდ მიდის არნ.ჩიქობავა)“.

2. ს.ჯანაშიას ამ სურვილსა და გეგმას 12 აგვისტოსვე მასწავლებელი ვრცელი ბარათით უპასუხებს, სადაც მეტად საინტერესო არაერთ მომენტთა შორის შემდეგეცაა: „ჩემს ნატერასაც მოგახსენებდით: სასურველია თანამედროვე ცოცხალი ენის შემსწავლელმა და მკვლევარმა ენა იმდენად შეითვისოს, რომ ამ ენაზე საუბარი შეეძლოს და უთარჯიმნოდ აწარმოოს კვლევა-ძიება. უცხო ენის დახმარებით ნაწარმოები დაკვირვება, რა თქმა უნდა, უშუალო დაკვირვებას ვერას დროსა და ვერას გზით ვერ შეედრება“.

ასე რომ, ს.ჯანაშიას იმდროინდელი მოგზაურობა წმინდა ღი-
გვისტური ხასიათისა გახლდათ, თუმცა, ჩერქეზულ ენაზე დაკვირ-
ვებათა გარდა, მეცნიერი დაკავებული იყო ამ კუთხის „ეთნოგრაფიული
მასალის შეკრებითაც“. ასეთივე ინტერესი აქვს მკვლევარს დაღესტნურ
ენათა მიმართ. მაგალითად, როგორც ამას მისივე შეკრებილი მასალა
ცხადყოფს, „ჯვარის“ აღმნიშვნელი ლექსემები დაუფიქსირებია იმ ენებ-
ში, რომელთა მასალასაც ის გასცნობია. „ექსპედიციის დღიურში“ არა-
ერთია სხვადასხვა ხალხის ადგილობრივი სახელწოდებანი, მათ შორის
„ქართველისაც“.

3. დაღესტანს ს.ჯანაშიას დაზვერვითი ხასიათის ექსპედი-
ციამ, ს.ჯანაშიასავე „ექსპედიციის დღიურის“ მიხედვით (22.VII—1.IX)
მოიცვა რამდენიმე რეგიონი: დარგულებით დასახლებული ლევაში,
ხუნძებით დასახლებული აული ღუნბი და ლაკთა მთავარი აული ყა-
ზი-ყუმუზი ანუ ღუმუქი.

მკვლევრის დაკვირვების სფეროში მოქცეულია იმ აულთა მე-
ტყველება, რაც პ.უსლარის ცნობილი მონოგრაფიების ყურადღების მი-
ღმაა დარჩენილი. მაგ., დარგულის ენის ურახული დიალექტის ნა-
ცვლად, ს.ჯანაშიასთან ლევაშური მეტყველებაა დაკვირვების საგანი,
რომელიც აზუშურ დიალექტს მიეკუთვნება (თუმცა ჟანაშიასი-ს მე-
ტყველება, საიდანაცაა მისი მთქმელი, ურახული დიალექტის წარმომად-
გენელია), ხოლო ლაკური ენის ვიცხიური დიალექტის ნაცვლად, ღუმუ-
ქური, რომელიც დღეს სამწერლობო ლაკურის საყრდენია. ჩრდილო-
ხუნძურს იკვლევდა პ.უსლარი (ასევე ა.შიფერცი), რომლის ინფორმა-
ტორი სოფ. ჭირკეიდან იყო, ამ უკანასკნელის მეტყველება კი ხუნძურ
დიალექტს განეკუთვნება, სოფ. ღუნბიში კი ს. ჯანაშია სოფ. ჭუხ-ის
მკვიდრისგან იწერდა მასალას. 1929 წელს არნ. ჩიქობავა ამავე სოფელ-
ში იწერდა დიალექტურ ტექსტებს, 1941 წელს კი აქვე და აულ ჭუხ-ში.

ასე რომ, ს. ჯანაშია ქართველ მეცნიერთაგან პირველია, რომელ-
მაც დაღესტნურ ენათა ლაკურ-დარგულის ქვეჯგუფის ენობრივი მასალა
(მართალია, მოცულობით მცირე) მოიპოვა ადგილზე.

4. ს. ჯანაშიას „ექსპედიციის დღიურის“ ჩანაწერების ცალკეული
ფრაგმენტები ყურადღებას იმსახურებს დარგულისა და ლაკურის ფო-
ნეტიკის, მორფოლოგიისა თუ ლექსიკის სფეროში. ზოგი ნიმუში:

ა) ძალზე საყურადღებოა ლაბიალიზებულ თანხმობანთა გამოვლენა დარგულსა და ლაქურში:

დარგ. კუმელ „ორი“, კუმევი „ჰისერი“, მაყუმე „ფესვები“ (შდრ. მაყ „ფესვი“; სალიტ. დარგ. მყ), დარგთან „დარგუელი“ და სხვა თითქმის არ უნდა ყოფილიყო ლევაშურში (რომელიც ახუშურ დიალექტს განეკუთვნება და დელაბიალიზაციით უპირისპირდება ყველა სხვა კილო-თქმას), მაგრამ, როგორც ზემოთ შევნიშნეთ, მისი მთქმელი ურახული დიალექტის წარმომადგენელია, სადაც ლაბიალიზებული თანხმობენები დღესაცაა.

ს.ჯანაშიას მიერ ლუმუქში ჩაწერილი კუმანუ „ადგილი“, ზტალილზტალუ „პატრონი“, იდაჟსტ „წინასწარმეტყველი“, ნზბტ „მდინარე“ და სხვა ამ რიგისა დღესაც დასტურდება სამწერლობო ლაქურში, რომლის საყრდენი ლუმუქური მეტყველებაა.

ბ) ძ და ჯ ფონემების შემცველი ლექსებები ფიქსირებულია ს.ჯანაშიას ჩაწერილ მასალაშიც: ძი „მარილი“, ცუმამძი „მამაკაცის სახელი“, ძიძი „ქალის სახელი“... ჯიმი „ბავშვის (მამრ.) სასქ. ორგანო“, გურჯი „ქართველი“, ჯანგამაზი „მიკეშების (ებრაელების) ტომია, დარგულები“, ზედმ. „ჯანგა-ხუტორი“.

გ) ნავარაუდევია ზოგი ლექსემის წარმომავლობა, ბგერობრივი იგივეობა თუ სემანტიკური სიახლოვე:

ხუნძ. ყუმწრყ „ბაყაყი“; შდრ. ქართ. მყუარი... (ამ ხმაბაძვით ლექსემათა გვერდით აქვე შემოვა ანდიურ ენათა სათანადო მასალა); ლაკ. ნზბტ „მდინარე“; შდრ. ნახურა, ალბათ, ლეხურა „მდინარის სახელწოდება“... (აქვე შემოვა ზოგი დაღესტნური ენისა და ქართულის სათანადო მასალა)... ხუნძ. ბაყ. „მზე“ — ჩაჩნ. მალხ და სხვ. ამ რიგისა.

დ) როგორც ერთ-ერთი შენიშვნიდან ჩანს (შრომები, III. 81), ს.ჯანაშიას მოხსენება გაუყეთებია სიტყვა თამად-ის შესახებ (ეს მოხსენება, სამწუხაროდ, მის არქივში არ აღმოჩნდა). დაღესტნურ დღიურებში მოყვანილია რამდენიმე დაღესტნური ენის მასალა: დარგ. თამად „პატრისაცემი მოხუცი“, ხუნძ. თამადა „ქორწილის, ნადიმის გამგე“, ჩაჩნ. თამდა „უხუცესი, საპატიო პირი“. ვაბავეისეული ლექსიკონის სიტყვა-სტატიაში თამადა დაღესტნურ ენათა ეს მასალა (და სხვა) გათვალისწინებული არ არის. ამდენად, ს.ჯანაშიასეულ ამ მასალას გარკვეული მნიშვნელობა აქვს.

გვანცა გვანცელაძე

ქართულ ნასახელარ ზმნათა ერთი ჯგუფის თავისებურებათა საკითხისათვის

1. ქართულ ენაში, სხვა ენათა მსგავსად, ადამიანთა დამახასიათებელ ნიშან-თვისებების ემოციურ-შეტაფორული მარკირებისათვის ზშირად გამოიყენება ფაუნის (ცხოველთა, ფრინველთა, ქვემძრომთა...) სხვადასხვა სახეობის აღმნიშვნელი სახელები: მაიმუნი, ღორი, თბა, თხუნელა, კურდღელივით მშიშარა, მტრედელივით წყნარი, ძაღლივით ავი, დათვივით მოუხეშავი, ყანჩასავით აყლაყულა... ასეთ შემთხვევებში პიროვნების თავისებურება გაიგივებულია არაადამიანთა კლასის სულიერი არსებისათვის ტრადიციულად მიწერილ ძირითად თვისებასთან.

2. არაადამიანთა კლასის სულიერ არსებათათვის ტრადიციულად მიწერილ თვისებათა ადამიანზე გადატანის თვალსაზრისით საყურადღებოა ის ნასახელარი ზმნები, რომლებსაც საფუძვლად უდევს არაადამიანთა კლასში შემაველ სულიერ არსებათა სახელების არცთუ ისე მრავალრიცხოვანი ჯგუფი, მაგალითად:

აფთარ-ი	—	გააფთრდება, გაააფთრებს...
ძაღლი	—	აძაღლდება, გაძაღლდება, გააძაღლებს...
ბულბული	—	აბულბულდება, ჩააბულბულებს...
ყოჩი	—	აიყოჩება, აყოჩდება...
მაიმუნი	—	მაიმუნობს, მაიმუნებს...
ბოტი	—	გაიბოტება, გააბოტებს...
ლომი	—	ლომობს, გალომდება...
მგელი	—	გამგელდება და მისთანანი.

ამ ჯგუფის ნასახელარი ზმნები საყურადღებო თავისებურებებს ავლენენ არა მარტო სემანტიკის, არამედ ფორმაწარმოების თვალსაზრისითაც. კერძოდ:

ა) სემანტიკის თვალსაზრისით ამ ჯგუფის ზმნათა უმრავლესობა გულისხმობს არაადამიანთა კლასის ცოცხალი არსებისათვის ტრადიციულად მიწერილი თვისებების ადამიანისაგან გამოვლენას ან შეთვისებას.

მაგალითად, აფთრდება ზმნა მიანიშნებს, რომ ადამიანი ავლენს აფთრისათვის მიწერილ თვისებას — სიავეს, მძვინვარებას, სიშმაგეს, მაგრამ ამავე ჭგუფის ნასახელარ ზმნათა მცირე ჭგუფი გულისხმობს ძირეული სიტყვით აღნიშნული ცოცხალი არსების მოპოვებას საკვებად ან სამეურნეო დანიშნულებით: ასეთებია ზმნები: თევზაობს, ნადირაობს, კურდღლაობს, მწყერაობს...

ბ) ფორმაწარმოების თვალსაზრისით, საანალიზო ჭგუფის ნასახელარი ზმნები ძირითადად დეფექტურია, რაც გამოიხატება იმით, რომ, თუ არაადამიანთა კლასის ცოცხალ არსებათა აღმნიშვნელ სახელთა უმრავლესობისაგან შესაძლებელია არა მარტო აბსტრაქტულ სახელთა, არამედ მასდარისა და მიმღეობის წარმოება, ბევრი მათგანისაგან აღარ იწარმოება პირიანი ფორმები. მაგალითად, არსებობს ვირაობა, გავირება, გავირებული, ვირდება, გავირდა... ფორმები, მაგრამ პრაქტიკულად არ დასტურდება თევზდება, ცხვარდება, ძროხდება და მისთანა ფორმები. ფორმაწარმოების დეფექტურობა საანალიზო ჭგუფის ზმნებში შესამჩნევია იმ მხრივაც, რომ პირიან ფორმებში შეზღუდულია ზმნისწინთა უმრავლესობის გამოყენება, ამ ჭგუფის ზმნებს ძირითადად არ ეწარმოება ქცევის ყველა შესაძლებელი სახეობა, ბევრი მათგანი ვერ აწარმოებს ორ- და სამპირიან ფორმებს, შედარებით შეზღუდულია მოქმედებითი გვარის წარმოება და სხვა.

თ ე ი მ უ რ ა ზ გ ვ ა ნ ც ე ლ ა ძ ე , ვ ა ჟ ა შ ე ნ გ ე ლ ი ა

აკადემიკოსი სიმონ ჭანაშია და აფხაზურ-ადილური ენათმეცნიერება

აკადემიკოსმა სიმონ ჭანაშიამ მკვიდრი საფუძველი ჩაუყარა საქართველოში აფხაზურ-ადილურ ენათა სისტემურ კვლევას.

ჯერ კიდევ 1921 წელს სტუდენტმა ს.ჭანაშიამ სოფელ აძვიბეაში მოიპოვა მეცნიერული სიზუსტით გამორჩეული აფხაზური ენის აბეჯეუარი დიალექტის მასალა, რომელიც მეტად მნიშვნელოვანია როგორც ენათმეცნიერული, ისე ფოლკლორისტული თვალსაზრისით.

ერთ-ერთი პირველი სამეცნიერო ნაშრომთაგანი, რომელიც მან 1924 წელს გამოაქვეყნა, ეხებოდა უზენაესი ღვთაების აფხაზური სახელწოდების სტრუქტურისა და სემანტიკის საკითხს.

1926-38 წლებში ს.ჯანაშია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კითხულობდა აფხაზური ენის კურსს.

1929 წელს აღიღეს სოფელ ულაფში მან, პირველმა სამეცნიერო ლიტერატურაში, ჩაიწერა აბაზური ენის სანდო მასალა, რითაც ფაქტობრივ იწყება ამ ენის მეცნიერული შესწავლა.

ფრიად საყურადღებოა აფხაზეთის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და აფხაზური ენის საკითხებისადმი მიძღვნილი ს.ჯანაშიასეული საენციკლოპედიო წერილები.

ს.ჯანაშია პირველი ქართველი მეცნიერია, ვინც ადგილზე სწავლობდა ჩერქეზულ ენებს და მათ მეცნიერულ კვლევას მნიშვნელოვანი ნაშრომები მიუძღვნა. 1928 წელს მას მოხსენებები წაუკითხავს გ.შერვაშიძის ხსოვნისადმი მიძღვნილ საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების საჯარო სხდომებზე ზოგი ჩერქეზული სიტყვისა (თჰამათჷ, ჯორ, მარჯ...) და მათი შესატყვისი მასალის შესახებ ქართველურ ენებში (სამწუხაროდ, მოხსენებები ს.ჯანაშიას არქივში არ აღმოჩნდა).

1929 წელს ს.ჯანაშია ორჯერ (საერთო ჯამში დაახლოებით 50 ღღეს) იყო მივლინებით აღიღესა და ყაბარდოში. ამ მივლინებათა შედეგები წარმოდგენილია ვრცელ დღიურებში, ანგარიშსა და მოხსენებებში. დღიურებში ფიქსირებულია მრავალი ჩერქეზული სიტყვა, ფრაზა, წინადადება; ბევრი მათგანის ანალიზი იქვეა წარმოდგენილი (მათ შორისაა საინტერესო ეტიმოლოგიები).

1929 წლის 10 ივნისს დაწერილ ანგარიშში ს.ჯანაშიამ წარმოადგინა ჩერქეზულ ენათა ფონეტიკისა და მორფოლოგიის მოკლე და ზუსტი დახასიათება.

მივლინებათა დროს მოპოვებული მასალა საფუძვლად დაედო ს.ჯანაშიას ცნობილ გამოკვლევებს: „ჩერქეზული (ადიღეური) ელემენტი საქართველოს ტოპონიმიკაში“, „სვანურ-ადიღეური ენობრივი შეხვედრები“, „საქართველოს ისტორიის უძველესი ქრონოლოგიიდან ენობრივი მასალის მიხედვით“, „ეგნატე ინგოროყვას გენეალოგიისათვის“... ავტორის მიერ ამ ნაშრომებში წარმოდგენილ დებულებებსა და დასკვნებს ღღესაც არ დაუკარგავთ მნიშვნელობა.

აკად. ს.ჭანაშვიას მიერ აფხაზურ-ადილურ ენათა შესწავლისათვის გაწეულ მუშაობას ყოველთვის ექნება დიდი სამეცნიერო ღირებულება.

ო ტ ი ა კ ა ხ ა ძ ე

ლეზგიურ ენათა ძ სხვა მონათესავე და არა-
მონათესავე ენათა სათანადო მასალის ფონზე

1. ფშინივიერი სპირანტი ქ თანხმოვანი იბერიულ-კავკასიურ ენათათვის არ არის დამახასიათებელი. ის მეორეული წარმოშობისაა და იშვიათად გვხვდება ამ ენებში, მათ შორის — ათიდან ცხრა ლეზგიურ ენაში, ერთში კი, სახელდობრ, არჩიულში, რომელიც გეოგრაფიულად ემეზობლება ლატერალური თანხმოვნების მქონე ენებს, კერძოდ, ხუნძურს, გვაქვს უკანაენისმიერი ლატერალები, აგრეთვე არანიშანდობლივი თანხმოვნები ლეზგიურ ენათათვის.

2. ქ-ს მქონე ცხრა ლეზგიურ ენაზე მეტყველთ ემეზობლებიან ქ ფშინივიერი სპირანტის მქონე თურქულენოვანი ხალხები — აზერბაიჯანელები და ყუმიკები. ქ თანხმოვანი სწორედ ამ თურქულენოვანი ხალხების ენებიდან ნასესხებ სიტყვებში გვხვდება უმთავრესად.

3. ქ იშვიათად გვხვდება, აგრეთვე, ცხრა ლეზგიური ენის საკუთარ ლექსიკაში. ის აქ ხუ და ხჟ კომპლექსების შერწყმის შედეგია (ხუ/ხჟ — ქ), უფრო ზუსტად — ხ/ხჟ-ს სპირანტული ნაწილისა და ბაგისმიერი ნახევარხმოვნის, ჟ-ს შერწყმის შედეგი.

4. მოხსენებაში, ზოგადად, გათვალისწინებულია სხვა იბერიულ-კავკასიური ენების მონაცემებიც, სადაც დასტურდება ქ თანხმოვანი (ნასესხებ თუ საკუთარ სიტყვებში); ესენია: დარგულური; ინგუშური, ჩაჩნური; ყაბარდოული, ადიღური; აბაზური, აფხაზური და, ქართველურ ენათაგან — ზანური (კერძოდ — ქანური დიალექტი).

5. თანხმოვანი ქ აკად. გახვლედიანს შეტანილი აქვს საკუთრივ ქართულის თანხმოვანთა ცხრილში შემდეგი განმარტებით: ქ-ს „...წარმოვთქვამთ ხოლმე — როგორც დიალექტებში, ისე სალიტერატუ-

რო ქართულში — ყველა დაყრუებული ვ-ს ნაცვლად — სიტყვის ბოლოს ან ყრუ თანხმოვანთა მეზობლობაში, მაგ., ვხედავ — ჭხედაჭ.

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე კ ო ბ ა ხ ი ძ ე

ზოგი კომპოზიტის დაწერილობისათვის
(ლექსიკონებში სოკოს აღმნიშვნელი სახელების
მართლწერასთან დაკავშირებით)

სოკოს აღმნიშვნელი ზოგი სახელის დაწერილობა დავას არ იწვევს (მაგ., ნიყვი, მიქლიო, ლვინიო, მანჭკვალა; შავჩოხა, წეროსწვივა, ხარისფაშვა და მისთ.). სიძნელე გვაქვს იმ შემთხვევაში, როცა რთული (ორსიტყვიანი) სახელის მეორე კომპონენტად გამოყენებულია სიტყვა სოკო. ლექსიკონებში სამგვარი დაწერილობა გვხვდება: შხამა სოკო, შხამა-სოკო და შხამასოკო.

შემდეგი ცხრილი გვიჩვენებს ლექსიკონებსა და ქართულ ენციკლოპედიაში არსებულ ვითარებას.

დაწერილობის სახე	ბოტანიკური ლექსიკონი	ქველ რეპერტორი	ქველ ერტორმული	ორთოგრაფ. ლექს. 1968	ორთოგრაფ. ლექს. 1998	დღებუნიშნული ქართ.-რუს. ლექს.	ლათინიკალი ქართ.-რუს. ლექს.	ქსე
შხამა სოკოს ტიპისა	5	3	1	4	9	9	7	4
შხამა-სოკოს ტიპისა	19	3						
შხამასოკოს ტიპისა		3	5	3		2	1	12

დეფინიციტ დაწერილობა (რაც ძირითადად ბოტანიკურ ლექსიკონშია) თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმების მიხედვით ორმნიშვნელობიან კომპოზიტებშია მიღებული და ამდენად

ჩვენთვის საინტერესო (ერთმნიშვნელობიან) კომპოზიტებში გაუმართლებელია. გასარკვევი რჩება საკითხი — რთული ფუძის სოკოების სახელების შერწყმულად თუ ცალ-ცალკე (ორ სიტყვად) დაწერილობაში რომელს მიეცეს უპირატესობა, ცხრილის მიხედვით ავტორიტეტული გამოცემების მონაცემები არსებითად განსხვავდება.

შექმნილ ვითარებაში მიზანშეწონილად მიგვაჩნია მივმართოთ ორსიტყვიანი სახელების შერწყმულად თუ ცალ-ცალკე დაწერილობის იმ წესს, რომელიც მოცემული აქვს არანჩიქობავას „ენათმეცნიერების შესავალში“ (ეს წესი რეკომენდებულია ქართული ენის ნორმების პირველ წიგნში). „იმის გასარკვევად, კომპოზიტი გვაქვს თუ შესიტყვება, შეიძლება ერთი საზომი გამოგვეყენებინა. სახელდობრ: შე მ ა დ - გ ე ნ ე ლ ნ ა წ ი ლ თ ა გა თ ი შ ვ ა (გა დ ა ს მ ი ს ა ნ შ ი გ ს ხ ვ ა ს ი ტ ყ ე ი ს ჩ ა რ თ ვ ი თ). სადაც შესიტყვება კომპოზიტად არის უკვე ქცეული, გათიშვა შეუძლებელი ხდება (კომპოზიტის მნიშვნელობა იშლება). სადაც გათიშვა და უ ბ რ კ ო ლ ე ბ ლ ი ვ მიმდინარეობს, შესიტყვება გვაქვს და არა ერთი რთული სიტყვა, კომპოზიტი. სადაც გადასმა შესაძლებელია, მაგრამ საჩოთიროა, იქ კ ო მ პ ო ზ ი - ტ ა დ ქ ც ე ვ ი ს პ რ ო ც ე ს ი და მ თ ა ვ რ ე ბ უ ლ ი არაა: გარდამავალ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე“ (გვ. 227).

ამ წესის მიხედვით სოკოს სახელების გადასმული ფორმები (არყასოკო — სოკოარყა, ქამასოკო — სოკოქამა, შხამასოკო — სოკოშხამა, დათვისსოკო — სოკოდათვის) თუ საერთოდ შესაძლებელია, მაინც არაბუნებრივია. ხოლო რთული სახელის გათიშვა სხვა სიტყვის ჩასმით სრულებით შეუძლებელია (მდრ. ახალი არყასოკო და არყა ახალი სოკო, მოხრაკული ქამასოკო და ქამა მოხრაკული სოკო, ხმელი დათვისსოკო და დათვის ხმელი სოკო, წითელი შხამასოკო და შხამა წითელი სოკო).

ზემოთქმულის საფუძველზე უნდა დავასკვნათ, რომ სოკოს აღნიშნული რთული სახელები უკვე კომპოზიტებად არის ქცეული და მათი ორ სიტყვად დაწერა გაუმართლებელია.

ამასთან ერთად შემდეგი მომენტიც არის გასათვალისწინებელი. განსახილველი სოკოების ერთი ნაწილისათვის ლექსიკონებში ორგვარი დაწერილობა იხმარება: არყა და არყასოკო, ქამა და ქამასოკო, მჟადაჰქადიო და მჟადასოკო. თანაც ყოველდღიურ ცხოვრებაში, ე.ი. მე-

ტყველებაში სწორედ ასეთი მარტივი ფორმები უფრო იხმარება (არყა, ქამა, მჭადა||მჭადიო...). უფრო მეტიც, პოპულარულ ლიტერატურაში სოკოს სახელების ასეთი მარტივი ფორმები უფროა გავრცელებული. მაგ., აკად. ლ.ყანჩაველს ბროშურაში „საქმელი და შხამიანი სოკოები“ განხილული აქვს სოკოები ძირითადად მარტივი სახელწოდებით: ნიყვი, ქამა, მჭადა, მანქკვალა, მერცხალა, არყა, მიქლიო, ირემა, წითელი შხამა... და მხოლოდ ერთხელ სოკოს შემცველი — დათვის სოკო.

შორენა ლომაია

ზმნისართული მნიშვნელობის გადმოცემისათვის მეგრულში

ზმნისართის წარმოება მეგრულში, სხვა ქართველური ენების მსგავსად, ხდება როგორც პირველად ფორმათაგან, ასევე სხვა მეტყველების ნაწილებისაგან. ზმნისართის მიღების ერთ-ერთი საშუალებაა კომპოზიცია (ა.შანიძე, ვ.თოფური, გ.შალამბერიძე).

საინტერესოა, რომ ზმნისართული მნიშვნელობა, ნაწარმოებ ფორმებთან ერთად, შეიძლება გადმოიცეს იდიომატური გამოთქმებითა და ფრაზეოლოგიური შეხამებებით, მაგალითად:

1. აშლდარ ვიშო თქეან ოჯახებს ირო ჭგირი ცოფედას „დღეს იქით თქვენს ოჯახში ყოველთვის კარგი ყოფილიყოს...“
 2. ღურა დღაშა ვაგმოკყორდუ, გორდიქ ღუმობაზუენი „სიკვდილამდე არ დამავიწყდება, ბაყაყმა რომ (ძირს) დამახეთქა“.
 3. კიზიში ზიარებაცალო რენია „კოვზის ზიარებასავით არის“.
 4. ვალიში მამალას გოლინუა „ელვის უსწრაფესად დაიკარგა“.
- ყურადღებას იქცევს ამ შესიტყვებათა სტრუქტურა და სემანტიკა.

აფხ. აუ^პრდ^ო („საჯდომი ჭორკო“) სიტყვის წარმომავლობა (ლაბიალიზებული დ^ო ფონემის აფხაზურ-აბაზურში ოდენ ნასესხებ ძირეულ ფუძეებში არსებობასთან დაკავშირებით)

სათანადო ადგილას აფხაზურ-აბაზური დიალექტების მონაცემთა ანალიზის საფუძველზე გარკვეული გვექონდა, რომ ენაკბილისმიერი ლაბიალიზებული სამეული (დ^ო, თ^ო, ტ^ო) მეორეული წარმოშობისაა აფხაზურსა და აბაზურში (აბაზურში დღეს იგი უკვე მოშლილად შეიძლება ჩაითვალოს).

ასევე წამოყენებული იყო დებულება, რომ ამ სამეულის მედერი სახეობა დ^ო (ძირეულ ფუძეთა ფონდში) *დვ კომპლექსის გავლის გზით მომდინარეობს სესხების შედეგად სხვა ენათაგან. ეს ენებია ქართველური ენები, ბერძნული, თურქული. ამ დებულების საილუსტრაციოდ გაანალიზებულ იქნა მთელი მასალა დ^ო-ს შემცველი სიტყვებისა: ად^ოგ „მინდორი“ (და მასზე დაყრდნობით ფრიად პროდუქტიული წინდებული დ^ო-), არდ^ოგნა „შაშვი“, ად^ოგბა „მგელი“, ად^ოგლბა „მატარებელი“, ად^ოაძა „ყამირი“, ად^ოკარშ^ორა „ვაკე“, „ბარი“, ად^ოქან „დუქანი“ და სხვ.¹

დ^ო ფონემის შემცველი ძირითადი ლექსიკური ფონდიდან აუხსნელი რჩებოდა ერთადერთი სიტყვა აუ^პრდ^ო („ჭორკო სკამი“).

ფონეტიკური ცვლილებების ზოგი ახლად გამოვლენილი ტენდენციების დადგენის საფუძველზე, ვფიქრობთ, უნდა ხერხდებოდეს ამ ფუძის წარმომავლობის გარკვევაც. იგი უნდა მომდინარეობდეს ქართული სინამდვილის გვედო სიტყვისაგან, რომელიც საბას განმარტებით არის „საჯდომელი კუნძო“.

ქართული ო ხმოვანი აფხაზურში ჟა კომპლექსად გადადის, რომლის ლაბიალური კომპონენტი შეერწყა წინამავალ ხშულ დ-ს და, საერთო ტენდენციის საფუძველზე, მათგან მივიღეთ აფხაზურისთვის

¹ იხ. ავტორის „აფხაზური და აბაზური ენების ისტორიულ-შედარებითი ანალიზი“ 1, თბილისი, 1976 წ. გვ. 95-96, 151-158.

ბუნებრივი რთული ლაბილიზებული ბგერა დ° (საგულისხმოა, რომ ეს სიტყვა აბაზურმა არ იცის).

საანალიზო ფუძეს ახალი ელემენტიც — რ სონანტიც — დაერთვის დ-ს (>დ°-ს) წინ. ესეც გარკვეული მიდრეკილება ჩანს, ყოველ შემთხვევაში ქართული დიალექტებისათვის (შდრ. ა დ გ ი ლ ი და დიალექტური სახეობა მისი — ა რ დ გ ი ლ ი !) ასეთივე დანართი რ ხომ არ არის აფხაზურ ა რ დ ° გ ნ ა („შაშვი“) სიტყვაშიც დ°-ს წინ რ? თუმცა არც ისაა გამორიცხული, რომ იგი ისეთივე წარმოშობისა იყოს, როგორიცაა ა რ ც ნ ა „დედალი“ (შდრ. არბაღ „მამალი“). რაც შეეხება აფხაზურ სახეობაში მკვეთრი ლაბილიზებული ყ° სახეობის არსებობას (გვ-ს ადგილას), იგი იმ კანონზომიერების საფუძველზე იხსნება, რაც გულისხმობს „სონანტთა მეზობლად ზშულთა (გჟ||გვ) დისიმილაციურ გ ა მ კ ვ ე თ რ ე ბ ა ს “ ქართველურსა და საერთოდ იბერიულ-კავკასიურ ენებში“.¹

ამრიგად, აფხ. აჟ°არდ° იგივე ქართული გვედო არის სესხებისას განხორციელებული სავსებით კანონზომიერი ბგერათცვლილებების შედეგად (გვედო — *გვადჟა||კვადჟა||ჟ°არდ°). ჩატარებული ანალიზის საფუძველზე უდაო ხდება, რომ აფხაზურში დ°-ს შემცველი ყველა ძირეული ლექსიკური ერთეული (მხედველობაში არ მიიღება ხმაბაძვითი შორისდებულები) პოზიციურად სახეშეცვლილი ნასესხები ფონდიდან მომდინარეა.

¹ აქ მოსალოდნელი იყო გ-ს გამკვეთრებით მისივე რიგის მკვეთრი კ მიგვედო. ყ ფარინგალური მკვეთრი მის ადგილას იმით ხომ არ არის გამოწვეული, რომ თავდაპირველ სახეობაში ამ სიტყვის ფუძე სისტემით ნავარაუდევია, ფარინგალური დმელერისაგან მომდინარეობს?!

„ციცინათელა“-სა და „პაპანაქება“-ს ეტიმოლოგიისათვის

ხმაბაძვით ლექსიკას ხშირად არქაულ ლექსიკას უწოდებენ, თუმცა „ბევრ შემთხვევაში ხმაბაძვითი სიტყვებიც ემორჩილებიან ენაში არსებულ ბგერათცვლის წესებს“ (ბ.ფოჩხუა).

ზოგჯერ გაბუნდოვანებული სემანტიკის მქონე ფუძე არახმაბაძვითად გაიგება, რაც აძნელებს სიტყვის სწორ ეტიმოლოგიას.

1. პ.გაჩეილაძეს ციმციმ (ქიზ., ზომერ.) — ერთბაშად, უცებ, მსუბუქად, ცივცივ (ფშ.) — მიწაზე ფეხდაუყარებლად და გაციმციმება, გაციმციმებული (იმერ.) — პირამდე ავსებული მიაჩნია ცივი-საგან ნაწარმოებად, რომლის ამოსავალი, მისივე ვარაუდით, არის ცა, უძველესი ბრუნვით წარმოდგენილი: ცა + ივ → ცაივ → ცივ. ციცინათელა სიტყვას კი შემდეგნაირად შლის: ცივ+ცივ+ნათელა — ზევით-ზევით, მაღლა-მაღლა, ცივცივ მანათობელი.

ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონის მიხედვით ქართული ციც ფორმა, რომელსაც შეიცავს კომპოზიტი ციც-ი-ნათელა, კანონზომიერად შეესატყვისება ლაზურ ჩიჩ-ს — ჩრჩილი, (ჰ.ფენრიხი). შდრ. გერმ. Leuchtkafer „მანათობელი ხოჭო“.

მეგრულსა და სვანურში „ციცინათელას“ აღმნიშვნელი ლექსემები მარწყინია, (მა)რწყინაია და ანტყუასგ, ამტყუასგ, ანტყუასკ. სვანური ლექსემები ვარსკვლავსაც აღნიშნავს და ნაპერწყალსაც. საინტერესოა, რომ მეგრულში თეთრი ფერის აღმნიშვნელ ეპითეტად გამოიყენება ციცინათელი, ციცნათელ-ჭგურ^ა.

ლ.ნადარეიშვილს წკ/კკ კომპლექსიან ხმაბაძვით ფუძეებთან მოჰყავს ქანურ ნო-პინწყალე||პინჭუ „ციცინათელა“.

ვფიქრობთ, რომ ციცინათელას პირველი კომპონენტის ციმ+ციმ||—ციცი ძ ხმაბაძვითობა არ უნდა იყოს საეჭვო. ეს სიტყვა სამივე ქართველურ ენებში აღსანიშნის თვისების — „ბრწყინვის“ „ნათების“ მიხედვით არის მოტივირებული.

ჩვენ განვიხილეთ ქართული ენის დიალექტებში მოცემული ფუძეები, რომლებიც ჩვენთვის საინტერესო ციმციმ||ციცი ფუძეს შეიძლება

— უკავშირდებოდეს, მაგ., ცამცამი, ციაცო, ცივცივ, ციმცამ, ციმციმ, ციმციმი, ციცინი (შეეციენება)...

კომპოზიტ ცივინათელას ეტიმოლოგიისათვის საინტერესო გვეჩვენება ფშაური სიტყვა ციცაობა, რომლის მნიშვნელობა კარგად ჩანს მაგალითში: აქეთ-იქით ცეცხლის ნაპერწკლებივით დაიწყეს მგლის თვალემა ციცაობა (თ.რაზიკ.).

რაც შეეხება გაციმციმება/გაცინცილება ფორმებს, ხმაბაძვითი ფუძეები ხშირად გამოიყენება არახმაბაძვითი სიტყვების საწარმოებლად (მაგ.: გაბიპილება, გასისინება, ჩაბულბულება, ჩაწიწიება...), რაც ბგერადობისა და ემოციათა ასოციაციების შედეგად მიაჩნიათ (ვ.ჟუნდტი, რ.იაკობსონი, ბ.ფოჩხუა).

2. ა.შანიძის აზრით, პაპანაქება სიცხის აღმნიშვნელი სიტყვაა და ნიშნავს პაპის (პაპების) ნაქებს. იგივე აზრია გატარებული გ.მაქაყარიანის ნაშრომში. ეს სიტყვა ქართული ენის დიალექტებში სხვადასხვა ფორმით არის გავრცელებული: პაპარაქა, პაპარაქება, პაპანება, პაპანაქება, პაპაქი...

ჩვენი აზრით, ეს ფუძე ხმაბაძვითია (შდრ. ბაბანი-ფაფანი-პაპანი) და შემდეგნაირად უნდა დაიშალოს: პაპან-აქ-ებ-ა, სადაც პაპან ხმაბაძვითი მასდარია, -აქ — დიალექტური წარმომავლობის სუფიქსი; ხოლო ებ-ა ფორმანტით პირველადი მასდარების გართულების შემთხვევები ხშირია ძველ ქართულსა და დიალექტებში.

ანალოგიურად დაიშლება სიცხის აღმნიშვნელი ეპითეტები: ქაქარახება — ჭაჭარ-ახ-ებ-ა, ქათქათება — ქათქათ-ებ-ა, გაგანება — გაგან-ებ-ა.

აუსლაუტისათვის წოვა-თუშურში
(წინასწარი მოხსენება)

აუსლაუტმა მიიქცია წოვა-თუშურის შემსწავლელი ყველა მკვლევრის ყურადღება. ჩვენ ვეყრდნობით მათ გამოკვლევებსა და ჩვენ მიერ ზემოაღვანში 2000 წლის სექტემბერში ჩაწერილ წოვა-თუშურ ტექსტურ მონაცემებს და ჩვენი ინფორმანტების ზეპირ მეტყველებას.

აუსლაუტი წოვა-თუშურში არ არის მდგრადი და ცალსახა. განსაკუთრებით ეს ეხება ხმოვნების, ნაზალური (ნ)-ს და ყრუ ფარინგალური სპირანტის (ჰ')-ს ქცევას, ანუ ისეთი ბგერების სახეცვლილებებს, რომელთა ღიაობის ხარისხი მაღალია.

როგორც ცნობილია, აუსლაუტში ცვლილებებს იწვევს წინამავალი მარცვლების ძლიერი დინამიკური მახვილი, რომელიც დღესაც დავადასტურეთ მამაკაცების მეტყველებაში. სწორედ ამის შედეგად ხმოვნები, ნაზალურები და ფარინგალური სპირანტები სანახევრო ან სრულ რედუქციას განიცდიან.

რუსუდან გაგუას შენიშნული აქვს (1956), რომ აუსლაუტში ეს ფონეტიკური პროცესი ყოველთვის არ დასტურდება. მან სისტემატურად აღწერა და ფუნქციურად გააანალიზა თითქმის ყველა ამგვარი შემთხვევა. სახელობრ, აუსლაუტში შეიძლება იყოს სრული ხმოვნებიც და სრული ნაზალური — ნ, რომელნიც არ რედუცირდება. მისი აზრით, ამ მოვლენას განაპირობებს რამდენიმე ფაქტორი: ა) ხმოვანი ან ნაზალური არ რედუცირდება, თუ ის ფუნქციურია (მაგ., მრ.რიცხვის ნიშანი -ი; აღგილის აღმნიშვნელი სუფიქსი -ა; მიც. ბრ.-ის ნიშანი -ნ და სხვ). ბ) თუ აუსლაუტის ხმოვანს დაერთვის რაიმე ელემენტი (კავშირი, თანდებული, ბრუნვის ნიშანი და მისთ.), რომელიც აუსლაუტში მოხვედრილი, თვითონ განიცდის სრულ რედუქციას, მაშინ მის წინ მდგომი ხმოვანი ამის შემდეგ ინარჩუნებს სრულხმოვნობას (მაგ., დაშოჟ — დაშო; გოჰჰ — გო (მიმართ. ლოკატ. ბრუნვა), შდრ. გ||გ(ო) — (მიმართ. ბრუნვა); ბუბკე-ნა(ჟ) — ბუბკენ (მიც. ბრუნვა) და მისთ. გ) როდესაც რედუქციას განიცდის -ნ სუფიქსი, ის იწვევს წინამავალი ხმოვნის სუსტ ნაზალიზაციას, მაგრამ თუ ნაზალიზაციაც მოისპო,

წინამავალი ხმოვანი სრული რჩება (მაგ., ნეკ = სახ. ბრუნვა, ნეკჲ — ნათ. ბრუნვა → ||ნეკ-ე) და სხვ.

კითხვა ისმის, რა უდევს საფუძვლად რედუქციის ამ საპირისპირო პროცესს, ანუ აუსლაუტში სრული ხმოვნებისა და ნაზალების შენარჩუნებას? როგორც ჩანს, აქ მოქმედებს საკომპენსაციო მექანიზმი. სახელდობრ, თუ სიტყვის ბოლო ხმოვანს ან ნაზალურს ერთვის ღიაობის მაღალი ხარისხის მქონე ხმოვანი ან სპირანტი და ის აუსლაუტის ზოგადი კანონის თანახმად, სრულ რედუქციას განიცდის, წინამავალ ხმოვანს ან ნაზალურს საკომპენსაციოდ გადაეცემა სწორედ მისი თავისუფლად მომდინარე ჰაერნაკადი, რაც აფერხებს მეორეულ რედუქციას წინამავალი, აწ აუსლაუტში მოხვედრილი ბგერისა (მაგ., გარდა ზემოხსენებულისა, *ალვნ-იჰ* (ალვანში) → ალვნ-ი; *ქალიქ-აჰ* (ქალაქი, ქალაქადგილი) → ქალიქ-ა; *თელვ-აჰ* → თელვა (თელავი) და სხვ.

ადრე ჩვენ დავუშვით საკომპენსაციო მექანიზმი ინლაუტის ხმოვნების სახეცვლილებების ასახსნელად (1998). თუ ამ ორ პროცესს გვაერთიანებთ, შეიძლება დავასკვნათ, რომ საკომპენსაციო მექანიზმი ფართოდ მოქმედებს წოვა-თუშურში და მას დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც სინქრონიული, ისე დიაქრონიული თვალსაზრისით მორფოფონემატური პროცესების ასახსნელად.

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე მ ა ჰ ო მ ე ტ ო ვ ი

**ბრუნების არატრადიციული ტიპი
დარგუული ენის დიალექტებში**

1. დარგუული ენის დიალექტებში წარმოდგენილია ბრუნების ტრადიციული და არატრადიციული ფორმები.

2. არატრადიციული ფორმები გვაქვს ხშულთა სამეულების მქონე დიალექტებში. ამასთან, ამავე დიალექტებში წარმოდგენილია ტრადიციული ფორმებიც.

3. არატრადიციული ფორმების არსებობა აიხსნება სონორთა წყვილეულების დაკარგვით.

4. არატრადიციული ფორმები დიალექტებში საკმაოდ მრავალფეროვანია, რაც გამოწვეულია ამ დიალექტების ფონეტიკური განსხვავებით.

მაგ., ერთი და იმავე სიტყვის (ურცულ „შეშა“) ნათ. ბრუნვა დიალექტებში სხვადასხვაგვარადაა წარმოდგენილი: ურცა (აჭუშ. დიალ., resp. დარგუული სალიტერატურო ენა), ურცუა (ურაზ. დიალ.), ურცუ-ჟ-ა (მეჭებ. დიალ.); შდრ. ტრადიციული ფორმა: ურცულლა.

სიტყვა მისქინ „ლარიბი“, ნათ. ბრ. მისქა (აჭუშ.დ.), მისქე (ურაზ.დ.), მისქი-ჟ-ა (მეჭებ. დიალ.); შდრ. ტრადიციული ფორმა: მისქინა.

ოთარ მიქიაშვილი

რუსულის გავლენით თავჩენილი ერთი მოვლენის შესახებ ქართულში

თანამედროვე ქართულში რუსული ინფინიტივიანი მარტივი წინადადების შესაბამისი შინაარსის მქონე ქვეწყობილში მაქვემდებარებელი კავშირის („რომ“) გამოტოვების შემთხვევაში ხშირად მძიმეს არ სვამენ (კავშირის ხმარებისას, როგორც წესი, მძიმეც დაისმის). მაგ., მინდა ვისწავლო (Хочу учиться), გთხოვთ გამათავისუფლოთ (Прошу Вас освободить меня), გადაწყვიტა სამსახურში გამოცნადებული (Он решил явиться на работу)...

ეს დასკვნა ეყრდნობა ი.კავკაზაძის ვაჟა-ფშაველას, ალ.ყაზბეგის, ივ.ჭავჭავაძის, ა.შანიძის, არნ.ჩიქობავას, ვ.თოფურიას, ბ.ჭორბენაძის, ლ.კვაჭაძის თხზულებათა, აგრეთვე კრებული „ქართული სიტყვის კულტურის საკითხების“ მონაცემებს.

ლ.კვაჭაძის სახელმძღვანელოში („სინტაქსი“) მძიმედასმული წინადადებებიც გვხვდება. ალ.დლონტის მიერ გამოქვეყნებულ სავარჯიშო მასალაში (1996 წ.) უკავშირო ქვეწყობილი წინადადებები, დამოწმებული ძირითადად ცნობილი თანამედროვე მწერლების თხზულებებიდან

(ლ.ქიაჩელი, გ.ფანჯიკიძე, ბ.ჩხეიძე, ნ.დუმბაძე...), მძიმედსმული სახითაა წარმოდგენილი.

ვცადოთ აღნიშნული ვითარების მიზეზებში გარკვევა. ძველ ქართულში ინფინიტივი გექონდა. ამიტომ ჩვენთვის საინტერესო წინადადებები იქაც ინფინიტივიანი იყო, ე.ი. ორპირიან ზმნას არ შეიცავდა, მარტივი წინადადება გახლდათ და აქ არც მძიმის დასმა-დაუსმელობის საკითხი წამოიჭრებოდა (მაგ.: დავჯე წერად — რუსთ.; უბრძანა კვლად პირუტყვთა შეწირვად — საბა...). დღევანდელი ქართული ამათ ნაცვლად რთულ ქვეწყობილს ხმარობს. დავჯექ, (რომ) მეწერა: უბრძანა, (რომ) კვლავ შეეწირა პირუტყვი...

რთულ ქვეწყობილ წინადადებას, რომლის დამოკიდებულის შემასმენელი კავშირებითაა გადმოცემული და შინაარსით რუსულის ინფინიტის შეესაბამება, ქართულში ინფინიტის ასპარეზიდან გასვლის შემდეგ უნდა ეპოვა გავრცელება.

აღნიშნული ტიპის რთული ქვეწყობილი თითქოს არ ჩანს საბას, დ.გურამიშვილის, ვახტანგ VI-ის ენაში. მსგავსი კონსტრუქცია დასტურდება იესე ბინათაშვილთან: ქუაყ ის არის, კაცმა თავისი თავი ხალხს უბატურად არ დაანახოს. მე ეს მინდა, ჩემს შვილებს ყმა ჰყავდეთ.

მკაფიოდ და გამოკვეთილად ჩვენთვის საინტერესო კონსტრუქცია ი.ბატონიშვილის „კალმასობაში“ დასტურდება. კავშირის გამოტოვების შემთხვევაში მძიმის დაუსმელობის წესიც ამ თხზულებიდან იღებს სათავეს და ეს სავესებით კანონზომიერი ჩანს. „კალმასობა“ ხომ რუსულ მასალას ეყრდნობა: ძალმძის, რომ განგიმარტო და გაცნობო (могу объяснить и сообщить); გთხოვ ამას, რომ მასწავლო ფილოსოფია და ისტორია (Прошу обучить меня философии и истории); საჭირო არის, რომ დავსწერო მაგათი თვისება (Нужно описать их свойства).

ე.ი. კავშირიან ქვეწყობილებში, როგორც წესი, მძიმეებია, უკავშიროში კი მძიმე გამოტოვებულია: მინდა ვისწავლო შენგან (Хочу учиться у тебя).

აღნიშნული მოვლენა (ჩვენთვის საინტერესო ტიპის უკავშირო ქვეწყობილში მძიმის გამოტოვება) უკვე დამკვიდრებული ჩანს ქართველ რომანტიკოსთა ენაში, განსაკუთრებით ხელშესახებია იგი გრიგოლ ორბელიანის არამხატვრულ თხზულებებში:

ისინი იძულებულნი იყვნენ დაეთმოთ ჩემთვის დღითიდღე (Они были вынуждены уступать мне с каждым днем); ნება მიბოძეთ შევნიშნო (Позвольте заметить): მე მსურდა შემეტყუა და მენახა (Я хотел узнать и увидеть); უნდა ვცდილიყავ განმეშორებინა დაახლოებული სიგლაბაყე (Я должен был постараться избавиться от приближающейся бедности). ყოველ მათგანს აქვს უფლება შეურაცხყოს, მლანძლოს მე (Каждый из них волен оскорблять, ругать меня...).

გრიგოლ ორბელიანიდან მოყოლებული, აღნიშნული მოვლენა ფართოდ ვრცელდება ქართულში.

თუ ქართულზე რუსულის ინტენსიური გავლენის დასაწყისის წინა ხანის მწერლობის ენის ზემოგანხილულ ნიმუშებს შემდგომი პერიოდისას შევადარებთ, ცხადი გახდება, რომ ჩვენთვის საინტერესო ტიპის რთულ ქვეწყობილში მძიმის გამოტოვება (და ამ ტიპის წინადადებათა დამკვიდრებაც) რუსული ინფინიტიური კონსტრუქციის შემცველი წინადადებების ანალოგიით, მათი გავლენით უნდა ხდებოდეს.

უკავშირო ქვეწყობილში მძიმის გამოტოვება შედარებით ახალი მოვლენა ჩანს და იგი რუსულის გავლენის შედეგი უნდა იყოს.

განსახილველი საკითხის შესახებ არსებობს პროფ. ვ.თოფურიას და დოც. ნ.ბასილაიას მოსაზრებები.

ვ.თოფურია მსჯელობს ისეთი რთული ქვეწყობილის შესახებ, სადაც მძიმე არ დაისმის კავშირებითი ზმნის წინ, ე.ი. რუსულში ინფინიტივის შემცველი მარტივის ქართულ შესატყვისზე, რომელიც რთული ქვეწყობილია. მისი აზრით, ასეთ წინადადებაში მძიმე არ დაისმის იმის გამო, რომ „აქ კავშირებითის ფორმა შინაარსობრივად უდრის ქართულში მასდარს (მოკმედების სახელს) და რუსულში ინფინიტივს“.

ნ.ბასილაია მსჯელობს საერთოდ რთულ ქვეწყობილზე, სადაც მთავარი და დამოკიდებული მოკლეა და ამ სიმოკლის გამო ისინი პაუზის გარეშე აღიქმებიან.

როგორც ერთი, ისე მეორე არგუმენტის გაზიარება ჭირს, რადგან, ჯერ ერთი, დღევანდელ ქართულში გვაქვს პირიანი ზმნა და არა ინფინიტივი („მოკმედების სახელი“, ვ.თოფურია), ახალ ქართულში არის მასდარის შემცველი კონსტრუქცია, რომელიც ახლოსაა რუსულ ინფინიტივიან მარტივთან და, ბუნებრივია, მძიმეს არ საჭიროებს: „მინდა ხატვა“ (მდრ. хочу рисовать), მაგრამ „მინდა, ვხატო“ რთული

ქვეწყობილია და მძიმეს მოითხოვს. „რომ“ კავშირის აღდგენის შემთხვევაში ამაზე არც არავინ დაობს: „მინდა, რომ ვხატო“.

ნ.ბასილაიას მოსაზრებაში, ჯერ-ერთი, ძნელად გასაზიარებელია ქვეწყობილში შემაჯალ წინადადებათა სიგრძე-სიმოკლის არგუმენტი მეორეც, მთლად ნათელი არ არის მსჯელობა იმის შესახებ, თითქოს მოკლე ქვეწყობილის კომპონენტებს შორის შეიძლება არ ჩანდეს პაუზა.

ის ფაქტი, რომ თანამედროვე ქართულში კავშირგამოტოვებულ რთულ ქვეწყობილში არ სვამენ მძიმეს, შეიძლება მხოლოდ იმით აიხსნას, რომ ქვეცნობიერად ხდება აღნიშნული ტიპის წინადადების გაიგივება რუსულის ინფინიტივიან მარტივთან (იქ ხომ არაა მძიმე!), კავშირის გამოტოვების შემთხვევაში ქართულში ისევე, როგორც რუსულში არაა კავშირი, მაშასადამე, არც მძიმეა საჭირო. ანგარიში არ ეწევა იმ ელემენტარულ გარემოებას, რომ რუსულში ერთი ზმნაა, მარტივი წინადადებაა, ქართულში კი მას ორზმნიანი, ე.ი. ქართული ქვეწყობილი წინადადება შეესაბამება.

თვალში საცემია აშკარა პარადოქსი: რომ კავშირის ხმარებისას მძიმეს ვსვამთ, რადგანაც აქ ქვეწყობა აშკარაა, თვალსაჩინოა; რომ კავშირის გამოტოვების შემთხვევაში კი, როცა აღარ ჩანს ქვეწყობის გარეგანი ნიშანი (კავშირი), აღარც მძიმე დაისმის.

ერთსა და იმავე სინტაქსურ ოდენობაში ერთ შემთხვევაში ქვეწყობა გამოხატულია ორმაგად — მაქვემდებარებელი კავშირითა და მძიმით, მეორე შემთხვევაში კი ქვეწყობის არც ერთი ფორმალური ნიშანი აღარაა და წინადადებაც გარეგნულად ანალოგიური შინაარსის რუსულ ინფინიტივიან მარტივს ემსგავსება.

შეიძლება დავასკვნათ, რომ რუსული ინფინიტივიანი მარტივის შესაბამის ქართულ რთულ ქვეწყობილ წინადადებაში კავშირის გამოტოვების შემთხვევაში მძიმის დაუსმელობის პრაქტიკა რუსულის გავლენის შედეგი ჩანს.

ისევ მედიაოპტიური ზმნების შესახებ ქართულში

ჩვენს ადრინდელ ნაშრომში „მედიაოპტიკ ზმნათა წარმოების ზოგი საკითხი ქართულში“ (წინასწარი მოხსენება, იკე, XIX, 1974, გვ. 25-53) განხილულია ამ სისტემის ზმნათა უღვლილებასთან დაკავშირებული ძირითადი პრობლემები. ამჟამინდელ მოხსენებაში ყურადღება გამახვილებულია ზოგ იმ საკითხზე, რომელიც ხსენებულ სტატიაში განხილული არ არის. გაანალიზებულია მედიაოპტიურ ზმნათა წარმოებასთან დაკავშირებული შემდეგდროინდელი სამეცნიერო ლიტერატურის მონაცემები. მიღებულია რიგი ახალი დასკვნა.

მოხსენებაში არსებითია დებულება — მედიაოპტიურ ზმნათა I სერიის ძველ ფორმებში *ი-* პრეფიქსის მოკვეცის პროცესი დაკავშირებული უნდა იყოს თემის ნიშანთა სისტემის ჩამოყალიბებასთან — თემატური სუფიქსის დართვა უნდა იწვევდეს პრეფიქსული ხმოვნის რედუქციას: ძვ. ქ. იბრდლუენს — ბრდლჯანეს... ლაზ. ინჩირს „ცურავს“ (*იტურს) — მეგრ. ნჭურუნს... (შდრ. ძვ.ქ. აქუს — ჰქონან... აბ-ს — დიალ. ლბ-ავ, ა-სხ-ს — სხ-ავ...). ამის შედეგად „იმსხვრევა“ თავდაპირველი მთლიანი (ერთიანი) პარადიგმა მედიაოპტიურ ზმნათა უღვლილებისა: აწშ. იბრდლუენს — აორ. იბრდლჯა — ბრდლჯანეს — იბრდლჯა...

ხაზგასასმელია ისიც, რომ აღნიშნულ პოზიციაში იკვეცება უფუნქციო (უფრო ზუსტად — გაუფუნქციოებული) პრეფიქსული ხმოვანი. თემატური სუფიქსის დართვა, როგორც ცნობილია, ვერ იწვევს ფუნქციის მქონე ხმოვანი თავსართების — მაქცევრების რედუქციას (შდრ. ძვ. ქ. იბერტყს — განიბერტყავს...).

საზოგადოდ, ისტორიულად დადასტურებულ ქართულსა და სხვა ქართველურ ენებში მედიაოპტიურ ზმნათა უღვლილების სისტემა სხვადასხვა ფორმაციის ელემენტთა ნარევი სისტემაა, შედარებით გვიანდელი ნაერთია.

აქ განხილულ საკითხებთან დაკავშირებით ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევა კიდევ ერთხელ ადასტურებს სისწორეს ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებული თვალსაზრისის — პ რ ე -

ფიქსაცია ქართველურ ენათა მორფოლოგიის (ფორმათა ფლექსია, დერივაცია) უძველესი დამახასიათებელი პრინციპია (არნჩიკობავა, ვ.თოფურია, თ.გამყრელიძე, გ.მაჭავარიანი...). ბუნებრივია, რომ ამ მხრივ გამო-ნაკლისს არ ქმნის ისეთი სიძველის ზმნები, როგორიც მედიოაქტიური („სტატიკური“) ზმნებია. თავდაპირველად ხმოვანთავსართოვანი წარმო-ება დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო მათთვისაც. შდრ.:

ძ ე . ქ . ა წ მ . იჭუელს, იკუნესს, იბრდლუნეს, ისტუნეს, იმღერს, ითხველის, ისიძავს, ილოცავს, იმრუშებს, ისამხრებს, ისერებს, იქვრობს, იქვრობს...

ს ვ ა ნ . იმზირ „ლოცულობს“, ინგზარ „მგზავრობს“, ითხვიარ „ნადირობს“, იგვნი „ტირის“, იბაჭი „დადის“, იკლი „ყელობს, კოქ-ლობს“, იკეჩხი „id“, ილოცავი „ლოცულობს“...

ლ ა ზ . იბირს (აგრეთვე — მეგრ.) „მღერის“, იმგარს (მეგრ. ინ-გარს) „ტირის“, ინჩვირს „ცურავს“, ინქორს „ამთქნარებს“, ინგორს „გორავს“, იბურბალს „ბრუნავს“, იგზალს „მგზავრობს“, იბიჩვამს (მეგრ. იბიჩვანს) „მარხულობს“, იხვამამს (მეგრ. ხვამანს) „ლოცულობს“...

მ ე გ რ . ივანს „ქრის“, იბურჯანს „შფოთავს“, იმოქვანს „ყრუ-ხავს“, იონჯუანს „ისაღამოვებს“...

მედიოაქტიური ზმნები: ყეფს, ხოხავს, მრუშობს, სამხრობს, ნადი-რობს რიგისა აქტიური (დინამიკური) ზმნებია ისევე, როგორც ბარავს, წერს, სთხოვს, ლოცავს, აქებს და სხვა. აქტიურობის ხარისხი განპირო-ბებულია პირდაპირი ობიექტის ქონა-არქონით, ასევე — ზმნის ფუძის სემანტიკით. სტატუსის მიხედვით აღნიშნული ზმნები ერთნაირად უპი-რისპირდება საკუთრივ სტატიკურ ზმნებს: დგას, წევს, სძინავს, Nფ თე-სია, ყრია და მისთანებს.

თევზსაქერ მოწყობილობათა (ბადეთა) სახელწოდებანი მეგრულში

მეთევზეობას უძველესი დროიდან მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ქართველურ ტომთა ყოფაში, რაზეც მიუთითებენ ისტორიულ-ეთნოგრაფიული წყაროები.

მასალების მიხედვით ირკვევა, რომ თევზაობა სხვადასხვა საშუალებით წარმოებს, რომელთა შორის ერთ-ერთი მთავარი არის მოსა „ბადე“.

ბადეები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ქსოვის მანერით, ფორმით, დანიშნულებით, რაც სათანადოდ აისახება ენაში.

ი.ყიფშიძე ბადის სახეობად ასახელებს მოსა-ბადეს. კომპოზიტი მიღებულია ქართულ ტერმინ ბადესა და მისი კოლხური ეკვივალენტის მოსას შეერთებით (შდრ.: ქარ-ბორია...).

ბადეთა ერთ ჯგუფს მოსასმელი ბადეები შეადგენენ. სულხან-საბა ბადის ამ სახეობას სათრომელს უწოდებს: „სათრომელი ესე ბადე გრძელი და შორს მოსაყარი სათევზედ“. მეგრულში ბადის ერთ-ერთი სახეობის სახელად დადასტურებულია ოთორმოსა||ოთიორმოსა, რომელიც სათრეველ ბადეს უნდა აღნიშნავდეს. ტერმინი ოთორმოსა ჩვენი აზრით კომპოზიციითაა მიღებული: ონთირალი მოსა (ქართ. თრევა — მეგრ. ნთირუა).

ბადის ყველაზე გავრცელებული სახეა სასროლი ბადე. სამეგრელოში მას სარსოლს ეძახიან (სასროლი > სარსოლი მეტათეზისით). თევზჭერას სარსოლუა ტერმინით აღნიშნავენ. რესპოდენტები ხშირად მიუთითებენ „მესარსოლე კათა“-ზე, რომელშიც სასროლი ბადით მეთევზენი იგულისხმება. ბადის ამ სახეობის აღსანიშნავად მეგრული მიმართავს შესიტყვებასაც: იყოთამალი ბადე||ოთამალი ბადე, რაც ქართული სასროლი ბადის ზუსტი ეკვივალენტია.

ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით ირკვევა, რომ ბადეებს უმთავრესად მონასტერში „მოლოზნები“ ქსოვდნენ. საერთოდ დასავლეთ საქართველოში ბადეებს ქალები ქსოვდნენ. ამასთან უნდა იყოს დაკავ-

შირებული ბადის სახელწოდება მოლოზმა||მოწოზმა. მოლოზმა „სა-
მკედლიანი ბადე“ დაცულია ლაზურში (ც.ნარაიძე).

თევზსაქერი მოწყობილობიდან სამეგრელოში გავრცელებულია
ხელბადე, რომელიც ზესქერი ტერმინითაა ცნობილი. იგი მიღებული
უნდა იყოს ზე-სქირი-დან, რაც „ხელმშრალს“ ნიშნავს.

ბადეების სახელდებისას ხშირად გამოყენებულია თევზის ჭიმის
აღმნიშვნელი ტერმინი. მაგ.: კამბელაშ ბადე, ზუთხიში ბადე... ლა-
ზურში დადასტურებულია სუარკიში მოსა „კამბალას საქერი ბადე“
(ც.ნარაიძე).

ბადეები ზოგი წვრილთვლიანი იყო, ზოგი — ფართოთვლიანი,
რაც ენობრივად ასე აისახება: ჭიფე თოლამი ბადე||ჭიფე თოლიში
ბადე „წვრილთვლიანი ბადე“ და დიდი თოლიში ბადე||ფართო თო-
ლიში ბადე „ფართო (დიდი) თვლიანი ბადე“.

ზოგ ბადეს ერთპირად ქსოვდნენ, ზოგს — რამდენიმე პირად. ერ-
თპირად ნაქსოვ ბადეს ცალფა ბადეს ეძახიან (მდრ. საბა — ერთი
ბადე), ასახელებენ სუმფა||სუმპიჯიში ბადეს „სამფენოვანი (სამპირა)
ბადე“.

ლ ა ტ ა ვ რ ა ს ა ნ ი კ ი ძ ე

-ნიგ, -რიგ, -რიკ სუფიქსთა გენეზისისათვის
ნახურ ენებში

1. ნახურ ენებში ზედსართავი სახელი, რიგობითი რიცხვითი სახე-
ლი, კუთვნილებითი და ჩვენებითი ნაცვალსახელები, მიმღეობა, ერთი
მხრით, მსაზღვრელად — დამოკიდებული, მეორე მხრით, საზღვრულთან
დაუკავშირებელი — დამოუკიდებელი, ერთმანეთისაგან ფორმის მიხედ-
ვით განსხვავდება, მაგალითად: წფენ „წითელი“ (წფენ ზფეზაგ „წითელი
ყვავილი“) დამოკიდებული ზედსართავი სახელია, წფენ-ნიგ „წითელი“ —
დამოუკიდებელი ზედსართავი სახელი.

2. ჩაჩნურსა და ინგუშურში დამოუკიდებელი ზედსართავი სახე-
ლების, რიგობითი რიცხვითი სახელების, კუთვნილებითი და ჩვენებითი

ნაცვალსახელების მაწარმოებელია -ნიგ სუფიქსი. ბაცბურ ენაში -ნიგ-სუფიქსიანი დამოუკიდებელი ფორმები არ დასტურდება.

3. ნახურ ენებში დამოუკიდებელი მიმღეობა იწარმოება -რ'ი'გ (ჩაჩნ.), -რიგ||-რ (ინგუშ.), -რიკ (ბაცბ.) სუფიქსებით, მაგალითად: ჩაჩნ. ოხუ-რგ „მზენელი“, ინგ. ვეზა-რგ „საყვარელი“, „მოყვარული“, ბაცბ. თეტ-რიკ „მკრელი“.

4. -ნიგ, -რ'ი'გ, -რიკ რთული შედგენილობის სუფიქსებია:

კ, გ თანხმოვნები „ერთის“ აღმნიშვნელ კ ძირამდე დაჰყავთ (დ.იმნაიშვილი).

-ნიგ სუფიქსში ნ თანხმოვანი უკავშირდება დამოკიდებული მსაზღვრელის ფორმის ბოლოთანხმოვანს (კ.ჩოქაევი), მაგალითად: ჩაჩნ. წჷნიგ (წითელი) < წჷნ (დამოუკიდებელი მსაზღვრელი) + იგ.

-რიგ, -რიკ სუფიქსებში რ თანხმოვანი უნდა მომდინარეობდეს ნამყო უწყვეტელის, წარმოშობით, უსრული ასპექტის (resp. მრავალ-გზისობის) -Vრ-სუფიქსიანი ფორმის ბოლოთანხმოვნისაგან. მაგალითად: ბაცბ.: ღეწ-რიკ („მოყვარული“) < ღეწ-ერ (ნამყო უწყვეტელი) + იკ.

ნამყოსა და მყოფადის მიმღეობების დამოუკიდებელი ფორმები ჩაჩნურსა და ინგუშურში შედარებით გვიანდელი წარმოებისაა.

კ ა ხ ი ს ა ხ ლ თ ხ უ ც ი შ ვ ი ლ ი

**ასპექტურ მნიშვნელობათა (სისრულე, გზისობა)
ურთიერთმიმართების საკითხისათვის**

თანამედროვე ასპექტოლოგია არ შემოიფარგლება ცალკეული ასპექტური ფუნქციების ოდენ მორფოლოგიური კვლევით. შეიძლება გამოიყოს რამდენიმე მიმართულება:

ა) სხვადასხვა ასპექტური ფუნქციების ურთიერთმიმართების საკითხი (მაგ. სისრულე-უსრულობისა და გზისობის გადაკვეთა).


ბ) ასპექტისა და სხვა ზმნური კატეგორიების ურთიერთმიმართება (მაგ. ასპექტი და ღრო)

გ) ასპექტის ადგილი წინადადების წარმოქმნელ მოდელში (ასპექტი და გარდამავლობა; ასპექტი და განსაზღვრულობის კატეგორია).

დ) ფარული (არამარკირებული) და მორფოსინტაქსურად მარკირებული ასპექტური ფუნქციების მიმართება როგორც ერთი ენის შიგნით, ისე ენათშორისი გადაკვეთების თვალსაზრისით.

ამჟერად ყურადღებას გავამახვილებთ ასპექტის კატეგორიის ცნობილი სპეციალისტების ვერკულის, დე სვარტის, შმიდტის ზოგიერთ მოსაზრებაზე.

საყურადღებოდ გვეჩვენა ვერკულის მოდელი:



ავტორის თვალსაზრისი არატრივიალურია. წინადადების წარმოქმნელ მექანიზმს ფარავს პოტენციური დრო (...), ხოლო თვითონ წინადადება (S) ასპექტური სემანტიკის მთლიან სივრცეშია.

აღნიშნული მეცნიერები სლავური და გერმანიკული ენების მასალაზე განიხილავენ დროის, სისრულის, გზისობის სემანტიკური ნიშნების ურთმიერთმიმართების ფარულსა და მარკირებულ სისტემებს. ჩვენი აზრით, ამ მხრივ მეტად საინტერესო პრობლემები ჩნდება იბერიულ-კავკასიური ენების მონაცემთა გათვალისწინებით.

**ხშულობისა და ნაპრალოვნობის მიხედვით
შერეული რაგვარობის თანხმოვანთა
ფონოლოგიური ინტერპრეტაციისათვის ქართულში**

1. „ხშულობა“ და „ნაპრალოვნობა“ ფონოლოგიურად რელევანტური ნიშნებია ქართული ენის თანხმოვანთა სისტემაში: ჰომორგანული ხშულები და ნაპრალოვნები საკმაოდ ხშირად მხოლოდ ამ დიფერენციალური ნიშნებით უპირისპირდებიან ერთმეორეს.

ქართულ ენაში ექსპერიმენტული ძიებით გამოიყო თანხმოვანთა სამი ჯგუფი, რომლებსაც ფონეტიკურად ახასიათებს შერეული რაგვარობა ხშულობისა და ნაპრალოვნობის მიხედვით, ესენია: აფრიკატები, სპირანტოიდები და ის სონორები, რომელთა წარმოთქმისას ერთდროულად ხორციელდება ხშვა და ნაპრალი.

შერეული რაგვარობის თანხმოვანთა ფონოლოგიური ინტერპრეტაცია არაერთგვაროვანია ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში.

2. შერეული რაგვარობის თანხმოვანთა ფონოლოგიური ინტერპრეტაციის კრიტერიუმი არის მათი სინტაგმატური ქცევა: (ა) თუ შერეული რაგვარობის თანხმოვნები სინტაგმატურად იქცევიან როგორც ხშულები, ფონემატურ სისტემაში ისინი ხშულთა ჯგუფში მოექცევიან და პარადიგმატულ ცხრილშიც ნიშნად ექნებათ „ხშულის“ ნიშანი; (ბ) შერეული რაგვარობის ფონოლოგიურად „ნაპრალოვანი“ თანხმოვნები, გასაგებია, სინტაგმატურ ურთიერთობაში იჩენენ წმინდა ნაპრალოვანთა თვისებებს: დისტრიბუციულად უკავიათ ხშულთა მომდევნო ადგილი; თვით ნაპრალოვანთა შორის კი არსებობს მკაცრად განსაზღვრული დისტრიბუციული იერარქია ნაპრალოვნობის ხარისხის მიხედვით.

ხმოვანთკომპლექსთა შედგენილობისათვის
მეგრულსა და ბალსქვემოურში (კომპიუტერულ
მონაცემთა წინასწარი ანალიზი)¹

განალიზებულ იქნა კ.დანელიასა და ა.ცანავას გამოცემული მე-
გრული და სვანურ პროზაულ ტექსტებში გამოქვეყნებული ბეჩოური
ტექსტები.

მეგრულში თეორიულად მოსალოდნელი 36 ხმოვანთკომპლექსი-
დან გამოვლინდა 35 (არ გამოჩნდა გუ); დადასტურებულ წყვილთაგან
საერთო რაოდენობის (8000) ერთ პროცენტს ვერ ასცდა: ეა(25),
ოა(14), გა(4), აე(11), ოე(21), გე(6), უი(11), გი(5), აო(53), ეო(21),
ოო(30), გო(3), იუ(19), აგ(4), ეგ(4), იგ(3), ოგ(12), უგ(1), გგ(1).

ხშირად გამოვლინდა: ია(2559) — დაახლოებით 30 პროცენტი;

შემდეგ: უუ(1028), იი(668), აა(667), ეე(584), იო(531), იე(517),
ეუ(320), ოუ(287), აი(197), აუ(133), ეი(123), უა(118), უო(111), უე(108)
და ა.შ.

სვანურში 9 ხმოვნისგან (ა, ა, ე, ო, ო, უ, უ, ი, გ) თეორიულად
მოსალოდნელი იყო 81 კომპლექსი; თითქმის ნახევარი არ გამოვლინდა,
მაგ.: ეა, ოა, ოე, ოი, გი, აო, ოო, უო, გო, უუ, გუ, აგ, ეგ, გგ, აა, აო,
აუ, აგ, აა, ეა, ოა, ოე, ოი, ოგ, აო, ეო, ოო, იო, უო, გო,
უუ, უო...

საერთო რაოდენობის (500-მდე) მესამედზე მეტს შეადგენს
ია(94), და ია(97); შემდეგ მოდის: აი(51), იე(42), უა(21), აი(20), ეი(15),
ეუ(13), ეუ(13), აუ(12), იუ(8) და ა.შ.

შეიძლება ვთქვათ:

ა. მონაცემთა მიხედვით ხმოვანთკომპლექსები ორ ძირითად ჯგუ-
ფად იყოფა: აქტიურად გამოვლინებადი და ნაკლებგამოვლინებადი;
პირველ ჯგუფს შეადგენს სონანტური ბუნების ი ან უ ხმოვნის შემკვე-
ლი კომპლექსები, ხოლო მეორეს — დანარჩენები. I ჯგუფის წევრთა

¹ თეზისები მომზადებულია ფრანკფურტის გოეთეს სახელობის უნივერ-
სიტეტში 2000 წლის ივლისში: სტატისტიკური ანალიზი გაკეთდა
პროფ. იოსტ გიპერტის დახმარებით.

რაოდენობა შესაბამის ხმოვანთა ტექსტში გამოვლენის პირდაპირპროპორციულია.

ბ. პალატალიზებული ხმოვნები და გ, როგორც წესი, იშვიათად ქმნიან კომპლექსებს; ეს ფაქტიც მათ მეორეულ წარმომავლობაზე უნდა მიუთითებდეს.

გ. იდენტურ ხმოვანთა კომპლექსი ბალსქვემოურში ნაკლებად ვლინდება, რაც იმით უნდა აიხსნას, რომ, ქართველური დიალექტებისათვის დამახასიათებელი ერთმარცვლოვნობისაკენ (ერთხმოვნობისაკენ) სწრაფვა ამ პერიფერიულ კილოში თითქმის სრულადაა განხორციელებული; შდრ.: სალიტერატურო ქართული < ქართლური < იმერული < აქარულ-თუშური < მეგრული (სადაც იდენტურ ხმოვანთა კომპლექსი მეტად აქტიურია!) < ბალსქვემოური (სვანური).

დ. შიშინა დიალექტების — მეგრულისა და ბალსქვემოურის — ძირითადი მონაცემები იდენტურია სისინა დიალექტების — საკუთრივ ქართული კილოების — მონაცემებისა (ამ უკანასკნელთა შესახებ იხ. ტ.ფუტყარაძე 1998); შეიძლება ითქვას: ხმოვანთკომპლექსთა გამოვლენის თვალსაზრისით, ყველა ქართველური დიალექტი ერთნაირ მიმართებაშია ქართულ სალიტერატურო ენასთან.

ი რ ი ნ ე ქ ე რ ქ ა ძ ე

მანკ- და აცრა ფუძეთა შესახებ ქართულში

1. „მანკ-ი ენება რამ დაშთომილი (ნ.მანკიერი, უმანკო, წყალმანკი“ (საბა). „მანკ-ი-ზადი, ანუ ბრძვილი, დანაშთენი სატყივართაგან, *попори*||ბიწი, მწიკული სულიერი (ნ.ჩუბ.). მანკ-ი შეთვისებული ფუძე ჩანს ქართულში ინდოევროპულ ენათაგან (გვხვდება სომხურშიც (დ.ჩუბინაშვილი, აქარიანი). იგი უნდა იმეორებდეს ლათინურ *mancus, a um* — ფუძეს, რაც განიმარტება, როგორც „დასახიჩრებული, უძლური, სუსტი, არასაკმარისი, არასრული, დაშავებული“.

2. „აცრა — დასერვა, გინა აღცრა (ააცრა ითქმის დასერვისათვის, ხოლო აცრა ფქვილთა გაცრისათვის (საბა) აცრა (ავსცრი) —

გაცრა, აღცრა, сеять, просеивать (ავუტრი) — დასერვა, აქრა ყუავილისა, прививать оспу (ნ.ჩუბ.). „აცრა — აქრა, срезывание, — ყვავილისა ე.ი. აქრა ყვავილისა, прививание оспы; (ავსტრი), ავსკრი — насекасть, привить оспу (დ.ჩუბ.) ქართ. აცრა (მაგ. ყვავილის აცრა) უნდა იმეორებდეს ლათ. acer, âcris, âcere — ფუძეს, რომლის მნიშვნელობებია: „მჭრელი, მწვავე, სუსხიანი, მძაფრი, სასტიკი...”

ი ზ ა ბ ე ლ ა ქ ო ბ ა ლ ა ვ ა

ფრანგული დეკონსტრუქტივიზმი და ანბანური წერის საკითხები

დეკონსტრუქტივიზმი, როგორც პოსტსტრუქტურალიზმის ერთ-ერთი მიმართულება, ჩაისახა საფრანგეთში (ცნება შემოიტანა ჟ.ლაკანმა, თეორიული დასაბუთება ეკუთვნის ჟ.დერიდას). 80-იან წლებში მნიშვნელოვან მიმართულებად ჩამოყალიბდა იგი აშშ-ში.

ფრანგული დეკონსტრუქტივიზმი არ არის საკუთრივ ლინგვისტური მიმდინარეობა. მისი წარმომადგენლები ფსიქოლოგისტური, ანთროპოცენტრისტული კონცეფციების კრიზისის პერიოდში მოვიდნენ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სხვადასხვა სფეროდან და გაიზიარეს ლინგვისტური სტრუქტურალიზმის ძირითადი იდეები, მაგრამ სტრუქტურალიზმის „ლოგოცენტრისტული“ ხასიათის გამო მალე დაუპირისპირდნენ მას.

ენათმეცნიერული პრობლემატიკის თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესო ჩანს ჟ.დერიდას ახალი მოძღვრება — გრამატოლოგია. იგი ყალიბდება როგორც ზოგადი სემიოლოგიის მსგავსი, მაგრამ ეს არის სხვა სემიოლოგია, რომელიც მიისწრაფვის პოზიტიურ მეცნიერებათა, მათ შორის ენათმეცნიერების, თვით შესაძლებლობის პირობათა გახსნისაკენ. იგი ცდილობს შეადწიოს განსჯამდელი ინტუიციის, ნიშნურობამდელი განსაზღვრებების დონეს და გამოავლინოს პირველადი საფუძვლები, რომლებთან მიმართებაშიც ყველა მეტაფიზიკური შეზღუდვა იქნება მეორეული.

ის სფერო, სადაც ყველაზე მკაფიოდ ვლინდება განსხვავება სემიოლოგიის „ტრადიციულ“ და „გრამატოლოგიურ“ გაგებას შორის, არის ნიშნის ცნება. ედერიდა ექვის ქვეშ აყენებს არა მხოლოდ ნიშნის კლასიკურ (სოსიურისეულ) კონცეფციას, არამედ მასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებსაც. შესაბამისად კრიტიკის საგანი ხდება ანბანური დამწერლობის პრინციპები. მართალია, ეს პრინციპები სოსიურზე გაცილებით უფრო ადრე იყო ჩამოყალიბებული (არისტოტელე, რუსო, ჰეგელი, ჰუსერლი...), მაგრამ კრიტიკა მიმართული აღმოჩნდა სწორედ სოსიურის თეორიის წინააღმდეგ. ეს განპირობებული ჩანს, ერთი მხრივ, იმით, რომ სოსიურთან ეს პრინციპები თეორიულ დონეზე განხილული, მეორე მხრივ, იმ დიდი გავლენით, რომელიც სწორედ სოსიურის თეორიამ იქონია შემდეგდროინდელი ლინგვისტური (და საერთოდ ჰუმანიტარული აზრის) განვითარებაზე.

მ ი ხ ე ლ ქ უ რ დ ი ა ნ ი

**სიმონ ჯანაშია ქართველთა ბირველსაცხოვრისის
შესახებ და საკითხის შესწავლის თანამედროვე
მდგომარეობა**

1.1. ბიბლიური თუბალისა და მეშექის ქართველურ ტომებად მიჩნევამ XIX საუკუნის დასავლეთევროპელი მეცნიერების მიერ სათავე დაუდო თვალსაზრისს ქართველთა ბირველსაცხოვრისის ლოკალიზაციის შესახებ მცირე აზიასა და ჩრდილოეთ მესოპოტამიაში, ანუ ქართველთა ამჟამინდელი განსახლებიდან უფრო სამხრეთით. ამიერკავკასიაში, კერძოდ, დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე მათი გადმოსახლება სწორედ სამხრეთიდან ივარაუდებოდა ძვ.წ. VII საუკუნის შემდეგ.

1.2. ეს თვალსაზრისი იქნა მიღებული ქართველი ისტორიკოსების მიერ, მეტიც, როდესაც დასავლელმა ორიენტალისტებმა შეიცვალეს პოზიცია და თუბალები და მუშქები (მეშექები) ინდოევროპელ ტომებად გამოაცხადეს, ქართველმა ისტორიკოსებმა და, კერძოდ, აკადემი-

კოსმა ივანე ჯავახიშვილმა, დაიცევს ადრინდელი თვალსაზრისი და ახალი არგუმენტაციით სცადეს მისი განმტკიცება.

1.3. ჩამოყალიბდა კონცეფცია, რომლის თანახმად, ამიერკავკასიის (სამხრეთ კავკასიის) აბორიგენები იყვნენ ჩრდილოკავკასიელი ტომები, ეერძოდ, ჩრდილო-დასავლეთ და დასავლეთ საქართველოში, შავი ზღვის სანაპიროს ჩათვლით ცხოვრობდნენ აფხაზურ-ადიღური მოდგმის ტომები, ჩრდილო-აღმოსავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში კი ნახურ-დაღესტნური მოდგმის ტომები, რომელთა ჩრდილო კავკასიაში გადახვეწა უნდა გამოეწვია სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ მიგრირებულ ქართველურ ტომებს (თუმცა ამ თეორიის ერთ-ერთი ვარიანტი არ გამოირიცხავდა თვით ჩრდილოკავკასიელი ტომების მიგრაციას ამიერკავკასიაში კიდევ უფრო სამხრეთიდან დაახლოებით ძვ.წ. XIV საუკუნეში).

2.1. აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას ეკუთვნის ქართველთა პირველსა-ცხოვრისის შესახებ ახალი კონცეფცია, რომლის თანახმად, საერთო-ქართველური ეთნოსის (ს.ჯანაშიას ტერმინოლოგიით „ხეთა-სუბარების“) პირველსა-ცხოვრისი მოიცავდა ტერიტორიას მცირე აზიის ჩრდილოეთი ნაწილიდან და ჩრდილო მესოპოტამიიდან მოყოლებული დიდ კავკასიონამდე.

2.2. ამ კონცეფციის თანახმად, ქართველები ამიერკავკასიის აბორიგენები არიან და სწორედ ისტორიული საქართველოსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა ქართველური კულტურის ორი წრე, რომელიც ქართველური ტომების ორ გაერთიანებას შეესაბამებოდა — დასავლურსა და აღმოსავლურს (ს.ჯანაშიას აზრით, ამას ადგილი ჰქონდა ძვ.წ. 1 ათასწლეულის დასაწყისში).

2.3. აკად. ს.ჯანაშიას კონცეფცია უარყოფდა ქართველთა გადმოსახლებას სამხრეთიდან ჩრდილოეთით, თუმცა ისტორიულ კატაკლიზმების კვალდაკვალ ის ფაქტად ცნობდა ქართული სახელმწიფოებრივი და კულტურული ცენტრების გადმონაცვლებას სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ: ერთი ქართველური ტომის კულტურული ჰეგემონიის შეცვლას მეორე, ასევე ქართველური, ტომის კულტურული ჰეგემონიით.

2.4. აკად. ს.ჯანაშიას ამ კონცეფციას მრავალი მომხრე გამოუჩნდა როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ და ის იქცა გაბატონებულ თვალსაზრისად 40-50 წლების ისტორიოგრაფიაში.

3.1. საინტერესოა, რომ როგორც ივ.ჭავჭავაძის, ასევე ს.ჭანაშია თავიანთი კონცეფციების შექმნისას ძირითადად ეყრდნობოდნენ არა იმდენად არქეოლოგიურ მონაცემებს, რამდენადაც ონომასტიკასა და ეპიგრაფიკული ძეგლების ინტერპრეტაციას.

ისტორიულ-შედარებითი მეთოდის განვითარებამ და ახალი ლინგვისტური მასალის გამოვლენამ ბევრი დაკავშირება თუ ინტერპრეტაცია, რომელიც ედო საფუძვლად ამ კონცეფციებს, ახლებურად გააშუქა ან უარყო. აღსანიშნავია, რომ ზოგი დაკავშირება თუ პარალელი იმთავითვე ვარაუდის სფეროს არ სცილდებოდა. გადაწყდა ზოგიერთი პინციპული საკითხიც: ამჟამად თაბაღებისა და მუშკების კუთვნილება ქართველური სამყაროსადმი საბოლოოდ დამტკიცებულად უნდა ჩაითვალოს (ბ.გიგინეიშვილი, ნ.ხაზარაძე, გ.თოფურია, მ.ქურდიანი და სხვ.), მაგრამ დავის საგნად რჩება მათი მიგრაციის (ექსპანსიის) მიმართულება: სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ, თუ — პირიქით.

3.2. ქართველთა პირველსაცხოვრისის შესახებ არსებული ორივე კონცეფციის მხარდასაჭერი ახალი არგუმენტები იქნა მოხმობილი უკანასკნელ ათწლეულებში. თვისებრივად განახლდა ქართველთა სამხრეთიდან მიგრაციის კონცეფცია მათი ისტორიული განსახლების ტერიტორიაზე. ამჯერად მცირე კავკასიონის დასავლეთი და ცენტრალური ნაწილის მთიანი ადგილებიდან, სადაც შესაძლებლად თვლიან ქართველთა პირველსაცხოვრისის ლოკალიზაციას საერთო-ქართველური ენის დაშლის წინა პერიოდში (თ.გამყრელიძე, ვი.ჩ.ივანოვი); ქართველურ ენათა კომპარატივისტულმა კვლევამ ახალი არგუმენტებით განამტკიცა ამიერკავკასიაში ქართველთა ავტოქტონობის თვალსაზრისი (გ.კლიმოვი).

3.3. ისტორიულ-შედარებითი მეთოდით ქართველური ენების მასალის კვლევისას საერთო-ქართველური ენის ქრონოლოგიურ დონეზე რეკონსტრუირებადი ფლორის, ფაუნის, ლანდშაფტისა და კლიმატის აღმნიშვნელი ლექსიკის ანალიზი საფუძველს იძლევა იგივე ტერიტორია იქნეს მიჩნეული ქართველთა პირველსაცხოვრისად და იმავე საზღვრებში, როგორც ეს ჰქონდა წარმოდგენილი აკად. ს.ჭანაშიას სხვა მასალასა და სხვა ტიპის არგუმენტებზე დაყრდნობით (თუმცა განსხვავებულ ქრონოლოგიურ ჩარჩოებში) და, შესაბამისად, ქართველურ ტომთა ექსპანსიის მიმართულება განისაზღვროს ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ.

სინონიმური წყვილების ერთი ტიპი მეგრულში

სამეგრელოს მკვიდრთათვის ქართული ეროვნული, სალიტერატურო და სალაპარაკო ენაა, მეგრული — საშინაო (საოჯახო) მეტყველება (— მეგრული დიალექტი). ამისდაკველად, მეგრულ მეტყველებაში ბუნებრივად იზმარება ქართული სიტყვები, რომელთა დამკვიდრება საკუთარი სიტყვების პარალელურად სინონიმურ წყვილებს ქმნის: ჭვათი||წვეთი, ჭუნა||ძალა; მუნაწი||მოსავალი, ეოროფილი||საყვარელი, გომორძგუა||გამარჯობა!, მანგი||ტოლი, ჭაბუ||წებო, თია||წილი და სხვ.

ზოგჯერ მეგრულში შემოსული სიტყვა შესაძლოა თავად ქართულის მიერაც ნასესხები აღმოჩნდეს: ღორღონჭი||ბატი, გიმათუთა||ოქტომბერი, გერგებათუთა||ნოემბერი, მარწკინდი||ბეჭედი, მაქალე||ამხანაგი და სხვ. ზოგ ასეთ შემთხვევაში ქართულს მეგრულის შესატყვისი საკუთარი სიტყვა ჰქონდა და ახლა აღარ იზმარება (ღერღედი, გიორგობისთვე...).

მაშასადამე, სინონიმური წყვილების გაჩენის ცნობილი გზა — სიტყვის სესხება და საკუთართან ერთად ზმარება, მეგრულ დიალექტშიც საკმაოდ გავრცელებულია.

**მანძილ- („ხორცი“) ფუძის შესატყვისობისათვის
ქართულსა და სვანურში**

ქართულში დადასტურებული მანძილთა 1. ბერწ-მსუქანი, გინა ძმარში ნადები სამწვადე; 2. სოკოსაც უწოდენ ერთსა კეთილ გემოვნებისათვის (საბა); სამწვადე ხორცი, შეზავებული ძმრით, ხახვით, მარილით და მისთ., — ბასტურმა (ქეგლ) და მისი სვანური (ჩოლურული) ეკვივალენტის მანჯილა||მანჯილა „საქონლის ხორცი“-ს საფუძველზე აღვადგენთ საერთო-ქართველური ფუძეენისათვის *მანძილ — არქეტიპს.

საბეჭდი ქაღალდი 60X84 1/16
პირობითი ნაბეჭდი თაბახი 3.75
სააღრ.-საგამომც. თაბ. ხი 2.5

ტირაჟი 300
ფასი სახელშეკრულებო



გამომცემლობა „უნივერსალი“
თბილისი, 380028, ი. ჭავჭავაძის გამზ. 1

